N 04/639
18.09.2023

ბრძანება

639-01-4-202309181719

საქმის მოკვლევის შეწყვეტის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25-ე მუხლის მე-9 პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N 288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყდეს სს ,,თბილისის თამბაქოს“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის პირველი მარტის N 04/92 ბრძანების საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევა.
2. მოკვლევის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გადაეგზავნოს მომჩივან მხარეს - სს ,,თბილისის თამბაქოს“ (ს/ნ 206093528).
3. მოკვლევის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გადაეგზავნოს მოპასუხეებს - შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374), შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381), სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“ (ს/კ 202311738) და შპს ,,ჯიდიაის“ (ს/კ 406181616).
4. მოკვლევის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სს ,,თბილისის თამბაქოს“ (ს/ნ: 206093528) განცხადება (თარიღი: 16.09.2023; რეგ: N 01/3129); მოკვლევის ჯგუფის მოხსენებითი ბარათი (თარიღი: 18.09.2023; რეგ: N 03/712).

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 01 მარტის N04/92 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

ანგარიში

თბილისი, 2023 წელი

სარჩევი

შესავალი *3*

თავი I. აღწერილობითი ნაწილი *3*

1.1 მომჩივანის პოზიცია **3**

1.2 მოპასუხეების პოზიცია **6**

1.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კერძო კომპანიებიდან მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია **16**

თავი II. ნორმატიული რეგულირება *23*

ნაწილი 1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით *23*

2.1 ზოგადი მატერიალური რეგულირება **23**

2.2 პროცედურული რეგულირება **28**

ნაწილი 2. თამბაქოს ინდუსტრიის მარეგულირებელი კანონმდებლობა *30*

თავი III. საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა *34*

ნაწილი 1. საერთაშორისო პრაქტიკა *34*

3.1 ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი **34**

3.2 აშშ **37**

3.3. OECD-ის რეგიონალური ცენტრის **(RCC)** ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია **39**

ნაწილი 2. ადგილობრივი პრაქტიკა *46*

3.4 . შპს ,,დუთი ფრი ჯორჯიას“ საქმე **46**

3.5. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგი **47**

თავი IV. შესაბამისი ბაზრის საზღვრები *48*

4.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები **48**

4.2 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები **51**

4.3 შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო **51**

4.4 შესაბამისი ბაზრის სუბიექტების იდენტიფიცირება **52**

4.5 შესაბამისი ბაზრის სუბიექტების საბაზრო წილები, მათი გამოანგარიშების მეთოდები, **HHI** ინდექსი და მოკვლევის პერიოდი **54**

4.6 განსახილველი პროდუქტების თვითღირებულება **58**

თავი V. საქმის მოკვლევის შეწყვეტის დასაბუთება *61*

შესავალი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2023 წლის 8 თებერვალს (რეგ: N01/468) წარმოდგენილ იქნა სს „თბილისის თამბაქოს“ (ს/ნ: 206093528) საჩივარი, რომელიც ეხებოდა შპს „ელიზი ჯგუფის“ (ს/ნ: 204920381), სს „თ&რ დისტრიბუშენის“ (ს/ნ: 202311738), შპს „ჯი დი აის“ (ს/ნ: 406181616) და შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/ნ: 404387374) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონის“) მე-6 და მე-7 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტს.

აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 01 მარტის N04/92 ბრძანების შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო მოკვლევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

1.1 მომჩივანის პოზიცია

მომჩივანი ეკონომიკური აგენტი - სს „თბილისის თამბაქო“ (ს/ნ 206093528) აღნიშნავს, რომ თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის კუთხით ადგილობრივ ბაზარზე 2022 წელს განვითარებული მოვლენების გამო, შეიქმნა რთული სიტუაცია, რომელიც ზიანს აყენებს აღნიშნულ კომპანიას. მომჩივანის პოზიცია ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების (Philip Morris, JTI, BAT) მიერ საქართველოში იმპორტირებული ბრენდების საცალო სარეალიზაციო ფასი სტაბილურად აღემატებოდა 6 (ექვს) ლარს. ასევე, ბოლო წლების განმავლობაში მსხვილი მულტინაციონალური კომპანიები ყოველ წლიურად მინიმუმ 5-10%-ის ფარგლებში სტაბილურად აძვირებდნენ სიგარეტების ფასს, რაც ბოლო წლების საერთო ინფლაციურ ტრენდს შეესაბამებოდა. მსოფლიოში სიგარეტის ნედლეულსა და კომპონენტებზე, ასევე, ტრანსპორტირებასა და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის და ინფლაციის გათვალისწინებით, 2022 წლის დეკემბერში ადგილი ჰქონდა მულტინაციონალური კომპანიების ზოგიერთი ბრენდის გაიაფებას, თანაც დროში სინქრონულად. უფრო ზუსტად, JTI-ის (დისტრიბუტორი და იმპორტიორი საქართველოში შპს „ელიზი ჯგუფი“) სიგარეტის ბრენდის Camel-ის საცალო ფასი ჩამოვიდა 5 ლარამდე, ასევე Philip Morris-ის (იმპორტიორი შპს „ფილიპ მორის

საქართველო“, დისტრიბუტორი შპს „ჯი დი აი“) სიგარეტის ბრენდი L&M-ის საცალო ფასიც ჩამოვიდა 5 ლარამდე. ამასთან, მომჩივანი ეკონომიკური აგენტის ცნობით, აღნიშნულმა კომპანიებმა დაარღვიეს „თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონი. კერძოდ, აღნიშნული ბრენდები აქტიურად უწევდნენ რეკლამას მათ მიერ გამოცხადებულ ფასდაკლებებს და მომხმარებელს გარკვეული რაოდენობის სიგარეტის შესყიდვისას დამატებით სარგებელს სთავაზობდნენ.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივან ეკონომიკურ აგენტს მიაჩნია, რომ მსხვილი იმპორტიორების მხრიდან ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდველ გარიგებას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. კომპანიის ზიანის ნათლად დასანახად, საჩივარს თან ახლავს 2021-2022 წლების და 2023 წლის იანვრის გაყიდვების დინამიკა.

საჩივარში მოიყვანილია მტაცებლური საფასო პოლიტიკის გატარების მაგალითი. ვინაიდან ცნობილია, რომ JTI-ის მიერ (შპს „ელიზი ჯგუფი“) სიგარეტის ბრენდის Camel Original Yellow (blue)-ზე შემოსავლების სამსახურისთვის გაცხადებული საცალო სარეალიზაციო ფასი [redacted], ხოლო აღნიშნული სიგარეტი საცალო ქსელში 5 (ხუთ) ლარად იყიდება, მიახლოებითი დაანგარიშების შედეგად დგინდება, რომ ამ სიგარეტის სუფთა სარეალიზაციო ფასი (დღგ-ს, ადვალური გადასახადის და აქციზის გარეშე, აქციზის ნომინალური საფასურის გათვალისწინებით) იქნება კოლოფზე [redacted] მომჩივანი ასევე ამბობს, რომ ეს გარემოება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევაა (თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის ფაქტი). ვინაიდან Philip Morris-ის (დისტრიბუტორი - შპს „ჯი დი აი“) სიგარეტის ბრენდზე L&M first cut გაცხადებული საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ ინფორმაცია საჯარო წყაროებში არ იძებნება, მომჩივანი მხოლოდ ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური მდგომარეობაა.

2023 წლის 2 მარტის N 02/488 წერილით მომჩივან კომპანიას - სს „თბილისის თამბაქოს“ ეცნობა მოპასუხეების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილობითი პოზიციები (კონფიდენციალობის დაცვით), ხოლო 2023 წლის 15 მარტის N01/871 წერილით სააგენტოს წარუდგინა საკუთარი პოზიცია მოპასუხეთა წერილობით პასუხებში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. სს „თბილისის თამბაქო“ არ ცვლის თავის თავდაპირველ პოზიციას, რომ ადგილი აქვს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევას.

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 14 მარტის N02/702 წერილით სს „თბილისის თამბაქოს“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება/დაზუსტება: სს „თბილისის თამბაქო“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი/ უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე, თუ სხვა დონეებზეც; სს ,,თბილისის თამბაქოსა“ და შპს ,,გეოდისტრიბუციას“ (ს/კ 401958271) შორის 2021 წლის 01 იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი საბითუმო ნასყიდობის ხელშეკრულება/ხელშეკრულებები, ყველა დანართთან ერთად; არის თუ არა შპს ,,გეოდისტრიბუცია“ (ს/კ 401958271) ერთადერთი პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანია; კომპანიის მიერ ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების წარმოების შემდგომ, ყოველთვის ხდება საბითუმო გადაყიდვა შესაბამის სადისტრიბუციო კომპანიაზე თუ უშუალოდაც ხორციელდება წარმოებული სიგარეტების საცალო ქსელისთვის მიწოდება; არის თუ არა კომერციული ინტერესი საცალო გამყიდველსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ეტაპზე; ფასწარმოქმნის სრული მოდელი სახეობების მიხედვით - Pirveli International Special Blue, Pirveli International Special Red, Pirveli Premium Special; ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის 01 იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე სს ,,თბილისის თამბაქოს“ მიერ თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობა, როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი მაჩვენებელი; ადგილობრივი ბაზრისათვის წარმოებული სახეობების (1. Pirveli International Special Blue; 2. Pirveli International Special Red; 3. Pirveli Premium Special) საცალო გაყიდვების მოცულობის შესახებ მონაცემები 2022 წლის 01 ნოემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე, თვეების მიხედვით ცალ-ცალკე.

Camel Original Yellow (Blue)-ის სახეობის თვითღირებულების თაობაზე საჩივარში მოცემული სიგარეტის სუფთა სარეალიზაციო ფასი შეადგენს [redacted] რომელზეც ნათქვამია, რომ აღემატება მისი შესყიდვის ღირებულებას და რა იგულისხმება შესყიდვის ღირებულებაში. სს „თბილისის თამბაქომ“ წარმოადგინა 2023 წლის 30 მარტის N01/1049 საპასუხო წერილი: კომპანია ახორციელებს ფილტრიანი სიგარეტების წარმოებას და რეალიზაციას, ასევე დაფასოებული მოსაწევი თამბაქოს წარმოებას და რეალიზაციას; ასევე, წარმოადგინა 2012 წელს შპს „გეოდისტრიბუციასა“ და სს „თბილისის თამბაქოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ფასწარმოქმნის სრული მოდელი სახეობების მიხედვით (Pirveli International Special Blue, Pirveli International Special Red, Pirveli Premium Special), სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ შპს „გეოდისტრიბუციაზე“ საბითუმოდ რეალიზებული ფილტრიანი სიგარეტების რაოდენობა და ღირებულება, ასევე შპს „გეოდისტრიბუციის“ მიერ რეალიზებული ფილტრიანი სიგარეტები სავაჭრო ქსელის ობიექტებისთვის.

გარდა ამისა, სს „თბილისის თამბაქოს“ ეთხოვა 2023 წლის იანვარში, თებერვალში და მარტის თვეში საცალო გაყიდვების მოცულობა და თანხობრივი მაჩვენებელი (2023 წლის 7 აპრილის N 02/952 წერილი), რომელიც 25 აპრილის N01/1347 წერილით წარმოადგინა.

სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 21/04/2023 რეგ: N01/1315) სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ 2021 წელს - [redacted] ხოლო 2022 წელს [redacted] ოდენობის აქციზური მარკა იქნა გატანილი შემდეგი დასახელების მიხედვით: „ადგილობრივი უფილტრო“. 2023 წლის 25 აპრილის N02/1096 წერილით სს „თბილისის თამბაქოს“ ეთხოვა ინფორმაცია 2021-2022 წლებში აქციზური მარკების გატანის თაობაზე, რომელმაც განაცხადა (2023 წლის 28 აპრილის N01/1357 წერილით), რომ იგი ოპერირებს ორი მიმართულებით: 1. ფილტრიანი სიგარეტის წარმოება და რეალიზაცია; 2. დაფასოებული (50 გრ. და 100 გრ. პაკეტებში) მოსაწევი თამბაქოს წარმოება და რეალიზაცია.

2023 წლის 2 მაისის N02/1195 წერილით სს „თბილისის თამბაქოს“ ეთხოვა განმეორებით იგივე ინფორმაცია, რაც სააგენტოს მოაწოდა 30/03/2023 წლის N01/1049 წერილით, დღგ-ს ჩათვლით, საქონლის სავარაუდო დაბრუნების გათვალისწინებით და ექსპორტის მონაცემების გამორიცხვით, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 15 მაისის N01/1623 წერილით.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 2023 წლის 15 სექტემბრის N01/3129 წერილით სს „თბილისის თამბაქომ“ უარი თქვა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარზე. მან განაცხადა, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ ბაზარზე ყალიბდება კეთილსინდისიერი კონკურენცია და იმედს იტოვებს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

1.2 მოპასუხეების პოზიცია

- **სს „თ&რ დისტრიბუშენი“ (ს/ნ 202311738)**

2023 წლის 22 თებერვალს (წერილის N01/654) სააგენტოს ეცნობა სს „თ&რ დისტრიბუშენის“, როგორც მოპასუხის, პოზიცია.

მოპასუხის პოზიციით, მის მიერ რეალიზებული ძირითადი პროდუქცია Demi Slim ფორმატშია და რეალიზაციას ახორციელებს კომპანიისთვის მოგების მომტან ფასად. ეს გამორიცხავს მომჩივან სუბიექტთან, რომლის პროდუქცია King Size

ფორმატშია, კონკურენციის შესაძლებლობას. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ King Size ფორმატში 2022-2023 წლებში რეალიზებულ პროდუქცია არასოდეს გაუყიდია 5 (ხუთ) ლარად. ასევე გამორიცხავს სს „თ&რ დისტრიბუშენის“ მხრიდან „თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტს, რადგან არანაირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ არსებობს.

ვინაიდან საჩივარში არ არის დაკონკრეტებული ზიანის ოდენობა და არაა ახსნილი „სს „თ&რ დისტრიბუშენის“ რომელმა ქმედებამ გამოიწვია მომჩივანისთვის ზიანის მიყენება, მოპასუხე სრულად დაუსაბუთებლად მიიჩნევს აღნიშნულ ნაწილს. ასევე საჩივარში არაა წარმოდგენილი სს „თ&რ დისტრიბუშენის“ მხრიდან შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირი და არაპირდაპირი დადგენა. შესაბამისად სს „თ&რ დისტრიბუშენი“ არ წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სუბიექტს და მასზე ვერ გავრცელდება ამ კანონით დადგენილი სანქციები.

მოპასუხე კომპანიათა მხრიდან მტაცებლური საფასო პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, სს „თ&რ დისტრიბუშენს“ მოჰყავს 2022 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება (N 1/2/876) საქმეზე „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლითაც: „არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის სიტყვების „ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად“-ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მართლზომიერ ეკონომიკური ინტერესის არსებობისას კრძალავს თამბაქოს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ბაზარზე მოქმედ მეორე ეკონომიკურ აგენტზე თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას“. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის ნორმატიული შინაარსი 2022 წლის 20 მაისიდან ძალადაკარგულია.

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 13 მარტის N02/677 წერილით სს „თ&რ დისტრიბუშენს“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება/დაზუსტება: სს „თ&რ დისტრიბუშენი“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი/ უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე, თუ სხვა დონეებზეც; სს „თ&რ დისტრიბუშენსა“ და საცალო გამყიდველებს (სიგარეტებით მოვაჭრე მაღაზიებს) შორის 2022 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად; სს „თ&რ დისტრიბუშენსა“ და Pall Mall Compact Blue-ს სიგარეტის მწარმოებელ უცხოურ კომპანიას შორის დადებული/არსებული ყველა ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამის დანართებთან ერთად; სს „თ&რ დისტრიბუშენი“ უშუალოდ ახორციელებს იმპორტირებული პროდუქციის საცალო ქსელისთვის მიწოდებას თუ გარკვეულ

შემთხვევებში ის ახდენს აღნიშნული პროდუქციის საბითუმო გადაყიდვას სხვა სადისტრიბუციო კომპანიაზე; არის თუ არა კომერციული ინტერესი საცალო გამყიდველსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ეტაპზე; სიგარეტის სახეობის Pall Mall Compact Blue-ს საცალო სარეალიზაციო ფასის ქართულ ბაზარზე გაიაფების კონკრეტული თარიღი (წელი, თვე და რიცხვი). ამასთან, Pall Mall Compact Blue-ის საცალო სარეალიზაციო ფასი გაიაფებამდე და გაიაფების შემდეგ; რა სახის საოპერაციო ხარჯის/ების გაღება უწევს კომპანიას Pall Mall Compact Blue-ს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელების პროცესში; ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე (წლების მიხედვით) სს „თ&რ დისტრიბუშენის“ მიერ თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობის, როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი მაჩვენებელი; სს „თ&რ დისტრიბუშენი“ ეწევა მხოლოდ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების იმპორტს თუ იგი ახორციელებს აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივ შესყიდვასაც; სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,ფილიპ მორის საქართველოს“ , სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,,ელიზი ჯგუფს“, აგრეთვე სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ სხვა იმპორტიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები სრულად 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე, ყველა დანართთან ერთად; სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ , აგრეთვე სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,,ელიზი ჯგუფს“ შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე არსებული ნებისმიერი სახის კორესპონდენცია სრულად - განხორციელებული ელ-ფოსტის ან/და ფოსტის მეშვეობით.

სს „თ&რ დისტრიბუშენმა“ წარმოადგინა 2023 წლის 24 აპრილის N01/1333 საპასუხო წერილი: იგი 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე ახორციელებს ფილტრიანი სიგარეტების იმპორტს და დისტრიბუციას; წარმოადგინა სს „თ&რ დისტრიბუშენს“ და საცალო გამყიდველებს შორის დადებული 2022 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი ნასყიდობის ხელშეკრულებები; ასევე სს „თ&რ დისტრიბუშენსა“ და Pall Mall Compact Blue-ს სიგარეტების მწარმოებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, დანართებთან და ინვოისებთან ერთად; იგი არ ახორციელებს პროდუქციის საბითუმო გაყიდვას სხვა სადისტრიბუციო კომპანიებზე; კონკრეტულ ფასს განსაზღვრავს კონკრეტული ქსელისთვის მათი მარჟის გაუმჯობესების მიზნით და მიზნად არ ისახავს მომხმარებელზე მისაყიდი ფასის განსხვავებას; დისკებით წარმოადგინა ექსელის ფაილები იმ საოპერაციო ხარჯების შესახებ, რომლის გაღებაც უწევს სს „თ&რ დისტრიბუშენს“ Pall Mall Compact Blue-ს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელების პროცესში და ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული სს „თ&რ დისტრიბუშენის“ მიერ

თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობა (როგორც რაოდენობრივი ისე თანხობრივი მაჩვენებელი); იგი არ ახორციელებს ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ადგილობრივ შესყიდვას; სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ , აგრეთვე სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ და შპს ,,ელიზი ჯგუფს“ შორის რაიმე სახის კორესპონდენცია არ არსებობს, გარდა 2022 წლის 16 მარტის ერთობლივი წერილისა, რომელიც სს „თ&რ დისტრიბუშენმა“, British American Tobacco-ს წარმომადგენლობამ საქართველოში, შპს „ელიზი ჯგუფმა“ და Japan Tobacco International-ის წარმომადგენლობამ საქართველოში გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ მინისტრს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენს; ასევე გამოაგზავნა დისკზე ჩაწერილი ექსელის ფაილი, სადაც 2022 წლიდან მოყოლებული მოცემულია Pall Mall Compact Blue-ს საცალო გაყიდვების მოცულობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ეთხოვა 2023 წლის 20 მარტის N02/761 წერილით. კომპანიას არ გააჩნია არანაირი კორესპონდენცია ხსენებულ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებით.

2023 წლის 2 მაისის N02/1192 წერილით სს „თ&რ დისტრიბუშენს“ ეთხოვა განმეორებით იგივე ინფორმაცია, რაც სააგენტოსთვის მოწოდებულ იქნა 24/04/2023 წლის N01/1333 წერილით, დღგ-ს ჩათვლით და ექსპორტის მონაცემების გამორიცხვით, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 5 მაისის N01/1515 წერილით.

- **შპს „ჯი დი აი“ (ს/ნ 406181616)**

2023 წლის 23 თებერვალს (წერილის N01/662) სააგენტოს ეცნობა შპს „ჯი დი აის“, როგორც მოპასუხის, პოზიცია.

მოპასუხის პოზიციით, შპს „ჯი დი აი“, როგორც „ფილიპ მორისის“ დისტრიბუტორი კომპანია, წლებია ბაზარზე ახორციელებს ყველა ფილტრიანი სიგარეტების სეგმენტში პროდუქტის დისტრიბუციას. შპს „ჯი დი აი“ ადასტურებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საშუალო და ძვირიანი სიგარეტის სარეალიზაციო ფასი მართლაც გაზრდილია, მაგრამ არა იაფიანი სეგმენტის ფასები. შპს „გამმას“ ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით, დაბალფასიანი სეგმენტის მოცულობა ბაზრის [redacted] შეადგენს. ამასთან, აღნიშნავს, რომ 2022 წლის 10 დეკემბრიდან იაფიან სეგმენტში, როგორც მზარდ და პერსპექტიულ ბაზრის მოცემულობაში, სარეალიზაციოდ გაიტანეს ახალი დასახელების სიგარეტები- ხოლო L&M First Cut Blue და L&M First Cut Red მოიაზრება საშუალო ფასის კატეგორიაში. შესაბამისად, შპს „ჯი დი აის“ პოზიციით, მან ფასი კი არ დაწია, არამედ ახალი პროდუქციით შევიდა 5 ლარიან სეგმენტში. ამასთან, შპს „თბილისის თამბაქომ“ დაბალფასიანი ბაზრის სეგმენტის

ლიდერის პოზიცია დაუთმო სომხეთიდან იმპორტირებულ სიგარეტებს და ამ სეგმენტში კონკურენცია დაწყებულია მანამდე, სანამ ბაზარზე გამოჩნდებოდა L&M Firs Cut-ი. შპს „ჯი დი აი“ უარყოფს მარკეტინგული კამპანიას შესახებ საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას.

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 14 მარტის N02/696 წერილით შპს „ჯი დი აის“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება/დაზუსტება: შპს „ჯი დი აი“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი/ უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე, თუ სხვა დონეებზეც; შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა“ და შპს ,,ჯი დი აის“ შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი საბითუმო ნასყიდობის ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად; არის თუ არა შპს ,,ფილიპ მორის საქართველო“ ერთადერთი პარტნიორი იმპორტიორი კომპანია; შპს ,,ჯი დი აის“ და ყველა საცალო გამყიდველს შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი ყველა ნასყიდობის ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად; არის თუ არა კომერციული ინტერესი საცალო გამყიდველსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ეტაპზე; რა სახის საოპერაციო ხარჯი/ების გაღება უწევს კომპანიას L&M First Cut-ის საცალო ქსელისათვის მიწოდების პროცესში; L&M First Cut-ის (Red და Blue ცალ-ცალკე) საცალო გაყიდვების მოცულობის შესახებ 2022 წლის 10 დეკემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე, თვეების მიხედვით ცალ-ცალკე; ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე შპს „ჯი დი აის“ მიერ თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობა, როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი მაჩვენებელი; შპს „ჯი დი აის“ და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“, შპს „ჯი დი აის“ და სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“, შპს „ჯი დი აის“ და შპს ,,ელიზი ჯგუფს“ შორის, აგრეთვე შპს „ჯი დი აის“ და ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ სხვა იმპორტიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები სრულად 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე, ყველა დანართთან ერთად; შპს „ჯი დი აის“ და შპს ,,ელიზი ჯგუფს“, შპს „ჯი დი აის“ და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“, შპს „ჯი დი აის“ და სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“, შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე არსებული ნებისმიერი სახის კორესპონდენცია სრულად - განხორციელებული ელ-ფოსტის ან/და ფოსტის მეშვეობით.

შპს „ჯი დი აიმ“ წარმოადგინა 2023 წლის 30 მარტის N01/1044 საპასუხო წერილი: შპს „ჯი დი აი“ ოპერირებს ფილტრიანი სიგარეტით ბაზრის სადისტრიბუციო ვაჭრობის და გახურებადი სიგარეტის რეალიზაციის (IQOS) დონეზე; მან წარმოადგინა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ და შპს „ჯი დი აის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება; კომპანია პროდუქციის მიწოდებას

ახორციელებს საგადასახადო ანგარიშფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე; კომპანია არ ახორციელებს L&M First Cut-ის საცალო მომხმარებელზე რეალიზაციას; კომპანიამ წარმოადგინა 2021 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 14 მარტის ჩათვლით შპს „ჯი დი აის“ მიერ ფილტრიანი სიგარეტების რეალიზაციის რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლები; წარმოადგინა ელექტრონული ფოსტის მიმოწერა მხოლოდ შპს „ფილიპ მორის საქართველოსთან“ (2023 წლის 13 აპრილის N01/1234 წერილი).

- **შპს „ელიზი ჯგუფი“ (ს/ნ 204920381)**

2023 წლის 23 თებერვალს (წერილის N01/672) სააგენტოს ეცნობა შპს „ელიზი ჯგუფის“, როგორც მოპასუხის, პოზიცია.

შპს „ელიზი ჯგუფი“ კატეგორიულად უარყოფს საჩივარში მითითებულ ბრალდებებს, როგორც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნაწილში, ასევე „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ნაწილში. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ყველა საფასო სეგმენტში აღინიშნება კონკურენციის მრავალფეროვნება. ბაზარზე ოპერირებენ როგორც საერთაშორისო კომპანიები, ასევე ადგილობრივი იმპორტიორები და მწარმოებლები (შპს „ელიზი ჯგუფი“, სს „თბილისის თამბაქო“) და რეგიონში არსებული სხვა მწარმოებლები/იმპორტიორები, როგორიცაა შპს „ინტერნეიშენელ მარკეტინგ ენდ თრეიდინგი“, რომელიც ასევე ოპერირებს დაბალ საფასო სეგმენტში, როგორც სს „თბილისი თამბაქო“.

უკრაინაში დაწყებული ომის მიზეზით, 6 თვის განმავლობაში (მიწოდების წყაროს შეცვლამდე) შპს „ელიზი ჯგუფის“ პროდუქცია არ იყო ხელმისაწვდომი. იმპორტირებული პროდუქციის დეფიციტმა განაპირობა 2022 წლის ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვების მოცულობის ზრდა, ვინაიდან ამ პერიოდში მხოლოდ ადგილობრივი თამბაქოს პროდუქცია იყო ხელმისაწვდომი. [redacted] ასევე, კომპანიის განცხადებით, გაყიდვების ობიექტებში განთავსებული თაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ ბაზრის ლიდერი შპს „ჯი დი აი“ იყო პირველი კომპანია, რომელმაც გადაწყვიტა დაბალ საფასო სეგმენტში შესვლა, რომელსაც მოგვიანებით დაემატა სს „თ&რ დისტრიბუშენიც.“

2022 წლის ბოლოს შპს „ელიზი ჯგუფმა“, რიგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გადაწყვიტა ფასის ცვლილება. ეს ფაქტობრივი გარემოებები იყო: ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო, პროდუქციის ვარგისიანობის რისკი,

ახალი მწარმოებელი ქარხნის და პროდუქტის მახასიათებლების გარკვეული ცვლილებები და მიწოდების ყველაზე გრძელვადიანი წყვეტა. ფასის ცვლილების გადაწყვეტილების მთავარ მიზეზად კომპანია ასახელებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

რაც შეეხება მომჩივანის მიერ მოყვანილ არგუმენტს ფასების სინქრონულ გაიაფებასთას დაკავშირებით, შპს „ელიზი ჯგუფი“ განმარტავს რომ, კომპანიის გასაყიდი ფასი დგინდება დამოუკიდებლად, ასევე, ფასების ცვლილება განხორციელდა დამოუკიდებლად სხვადასხვა დროს. ფასის ცვლილების ინიცირება, ბოლო 10 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ხდება ბაზრის ლიდერის მიერ, ხოლო დანარჩენი კომპანიები გადაწყვეტილებას იღებენ დამოუკიდებლად.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში, კომპანია განმარტავს, რომ 2020 წლის სააგენტოს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევით და მათ მიერ ბაზრის შესწავლის შედეგად შპს „ელიზი ჯგუფი“ ვერ იქნება დომინანტი. ასევე, ფასების დემპინგის ბრალდებასთან დაკავშირებით კომპანიას მოყავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის N1/2/876 და უზენაესი სასამართლოს Nას-1004-925-2017 გადაწყვეტილებები.

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 13 მარტის N02/679 წერილით შპს „ელიზი ჯგუფს“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება/დაზუსტება: შპს „ელიზი ჯგუფი“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი/ უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე, თუ სხვა დონეებზეც; შპს „ელიზი ჯგუფსა“ და საცალო გამყიდველებს (სიგარეტებით მოვაჭრე მაღაზიებს) შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად; შპს „ელიზი ჯგუფსა“ და Camel Original Yellow-ს სიგარეტის მწარმოებელ უცხოურ კომპანიას შორის დადებული/არსებული ყველა ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამის დანართებთან ერთად; შპს ,,ელიზი ჯგუფი“ უშუალოდ ახორციელებს იმპორტირებული პროდუქციის საცალო ქსელისთვის მიწოდებას თუ გარკვეულ შემთხვევებში ის ახდენს აღნიშნული პროდუქციის საბითუმო გადაყიდვას სხვა სადისტრიბუციო კომპანიაზე. აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაში, ეთხოვა ინფორმაცია იმ სადისტრიბუციო კომპანიების მონაცემების თაობაზე, რომელიც აღნიშნულ კომპანიასთან დღემდე იმყოფება სადისტრიბუციო სახელშეკრულებო ურთიერთობაში; არის თუ არა კომერციული ინტერესი საცალო გამყიდველსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ეტაპზე; სიგარეტის სახეობის - Camel Original Yellow-ს საცალო სარეალიზაციო ფასის ქართულ ბაზარზე გაიაფების კონკრეტული თარიღი (წელი, თვე და რიცხვი). ამასთან, Camel Original Yellow-ის საცალო სარეალიზაციო ფასი გაიაფებამდე და გაიაფების შემდეგ; Camel

Original Yellow-ს მსგავსად გაიაფდა თუ არა Camel Original Blue ზემოთ ხსენებული კონკრეტული თარიღის დადგომისას; რა სახის საოპერაციო ხარჯის/ების გაღება უწევს კომპანიას Camel Original Yellow-ს (Blue) საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელების პროცესში; ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობის, როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი მაჩვენებელი; შპს „ელიზი ჯგუფი“ ეწევა მხოლოდ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების იმპორტს თუ იგი ახორციელებს აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივ შესყიდვასაც; შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“ (ს/კ 202311738), შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374), აგრეთვე შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ სხვა იმპორტიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები სრულად 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე, ყველა დანართთან ერთად; შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374), აგრეთვე შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“ (ს/კ 202311738) შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე არსებული ნებისმიერი სახის კორესპონდენცია სრულად - განხორციელებული ელფოსტის ან/და ფოსტის მეშვეობით.

შპს ,,ელიზი ჯგუფმა“ წარმოადგინა 2023 წლის 12 აპრილის N01/1227 საპასუხო წერილი, სადაც განმარტავს, რომ შპს ,,ელიზი ჯგუფი“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე; მან გამოაგზავნა 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე მოქმედი ხელშეკრულებები, ასევე, კომპანიასა და Camel Original Yellow -ს სიგარეტის მწარმოებელ უცხოურ კომპანიას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, აღნიშნული პროდუქციის საქართველოში იმპორტის ყველა ინვოისი 2021 წლის პირველი იანვრიდან, Camel Original Blue-ს საოპერაციო ხარჯები, კომპანიის თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლები; ასევე აღნიშნა, რომ ბაზარზე შეცვლილი კონკურენტული მდგომარეობის გამო, იმავე მიმწოდებელთან შეთანხმებით განხორციელდა ორი ახალი სახეობის რეგისტრაცია და იმპორტი [redacted] - Camel 1913 Original Yellow და Camel 1913 Original Blue; კომპანია უშუალოდ ახორციელებს იმპორტირებული პროდუქციის საცალო ქსელისთვის პირდაპირ მიწოდებას მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა მოყვანილი სამი იურიდული პირისა; საცალო სარეალიზაციო ფასი ყველასთვის ერთია, თითოეული ეკონომიკური აგენტი დამოუკიდებლად ადგენს გასაყიდ ღირებულებას; კომპანიას არ გააჩნია არანაირი კორესპონდენცია ხსენებულ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებით.

2023 წლის 2 მაისის N02/1191 წერილით შპს „ელიზი ჯგუფს“ ეთხოვა განმეორებით იგივე ინფორმაცია, რაც სააგენტოს მოაწოდა 12/04/2023 წლის N01/1227 წერილით, დღგ-ს ჩათვლით, საქონლის სავარაუდო დაბრუნების გათვალისწინებით

და ექსპორტის მონაცემების გამორიცხვით, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 11 მაისის N01/1571 წერილით.

მოკვლევის ჯგუფისთვის ცნობილი ინფორმაციებიდან გამომდინარე გაჩნდა კითხვები, რომელზეც ეცნობა შპს „ელიზი ჯგუფს“ (2023 წლის 12 ივნისის N02/1553 წერილით) და ეთხოვა დასახელებული მონაცემების სისწორის დადასტურება ან ალტერნატიული მონაცემების წარმოდგენა. 2023 წლის 20 ივნისის N01/2047 წერილით კომპანიამ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია.

- **შპს „ფილიპ მორის საქართველო“ (ს/ნ 404387374)**

2023 წლის 27 თებერვალს (წერილის N01/700) სააგენტოს ეცნობა შპს „ფილიპ მორის საქართველოს“,როგორც მოპასუხის, პოზიცია.

შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ მოსაზრებით, მომჩივანმა ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი. აღნიშნული ბრალდებები მოკლებულია კონკრეტიკას (მაგალითად, გარკვეული მარკეტინგული ქმედებები, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია).

შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ პოზიციით, პროდუქციის ფასების სტაბილური ზრდის აბსოლუტური ფაქტი არა მხოლოდ ინფლაციითაა განპირობებული, არამედ აქციზის გადასახადის არსებული სტრუქტურით. კერძოდ, აქციზის 30%-იანი ადვალური კომპონენტი, რომელიც გამოითვლება მისი განაკვეთის (30%) ნამრავლით წინა წლის საცალო სარეალიზაციო ფასზე. საცალო სარეალიზაციო ფასის ზრდა იწვევს მომდევნო წლის გადასახდელი ადვალური აქციზის თანხის გაზრდას. მზარდი საცალო სარეალიზაციო ფასი განაპირობებს მომხმარებლის გადასვლას შედარებით დაბალფასიან სეგმენტზე. მოპასუხის თქმით, თავისუფალი და სამართლიან კონკურენციაში მყოფი ბიზნესი მოტივირებულია მომხმარებელს შესთავაზოს მიმზიდველი პროდუქტი გაზრდილი შესაძლებლობებით. სწორედ ასეთი პროდუქტი იყო დაბალფასიანი სეგმენტისთვის შექმნილი ახალი პროდუქტი - L&M First Cut, რომლის ფასიც უცვლელია.

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 13 მარტის N02/678 წერილით შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება/დაზუსტება: შპს „ფილიპ მორის საქართველო“ ოპერირებს მხოლოდ ფილტრიანი/ უფილტრო სიგარეტების ბაზრის იმპორტისა და სადისტრიბუციო დონეზე, თუ სხვა დონეებზეც; შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა“ და შპს ,,ჯი დი აის“ შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე

მოქმედი საბითუმო ნასყიდობის ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად; შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა“ და L&M First Cut სიგარეტის მწარმოებელ უცხოურ კომპანიას შორის დადებული/არსებული ყველა ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამის დანართებთან ერთად; არის თუ არა შპს ,,ჯი დი აი“ ერთადერთი პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანია; ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების იმპორტის განხორციელების შემდგომ, ყოველთვის ხდება საბითუმო გადაყიდვა შესაბამის სადისტრიბუციო კომპანიაზე თუ უშუალოდაც ხორციელდება იმპორტირებული სიგარეტების საცალო ქსელისთვის მიწოდება; არის თუ არა კომერციული ინტერესი საცალო გამყიდველსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ეტაპზე; L&M First Cut სიგარეტის სახეობის ქართულ ბაზარზე შემოტანის კონკრეტული თარიღი (წელი, თვე და რიცხვი). ამასთან, მოიცავს თუ არა დასახელება L&M First Cut როგორც L&M First Cut Red, აგრეთვე L&M First Cut Blue დასახელების ქვესახეობებს და განიცდიან თუ არა აღნიშნული ქვესახეობები იდენტურ ფასწარმოქმნას; რა სახის საოპერაციო ხარჯი/ების გაღება უწევს კომპანიას L&M First Cut-ის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელების პროცესში; ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე თამბაქოს მთლიანი რეალიზაციის მოცულობის, როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი მაჩვენებელი; შპს „ფილიპ მორის საქართველო“ ეწევა მხოლოდ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების იმპორტს თუ იგი ახორციელებს აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივ შესყიდვასაც; შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374) და სს ,,თ&რ დისტრიბუშენსა“ (ს/კ 202311738), შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374) და შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381), აგრეთვე შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374) და ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ სხვა იმპორტიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები სრულად 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე, ყველა დანართთან ერთად; შპს ,,ელიზი ჯგუფს“ (ს/კ 204920381) და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374), აგრეთვე სს ,,თ&რ დისტრიბუშენს“ (ს/კ 202311738) და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ (ს/კ 404387374) შორის 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე არსებული ნებისმიერი სახის კორესპონდენცია სრულად - განხორციელებული ელ-ფოსტის ან/და ფოსტის მეშვეობით.

შპს ,,ფილიპ მორის საქართველომ“ წარმოადგინა 2023 წლის 6 აპრილის N01/1153 საპასუხო წერილი: შპს ,,ფილიპ მორის საქართველო“ ახორციელებს ფილტრიანი სიგარეტების იმპორტს, რომელსაც ყიდულობს Philip Morris Products S.A.-გან და ყიდის მხოლოდ შპს „ჯი დი აიზე“; მან წარმოადგინა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა“ და შპს „ჯი დი აის“ შორის, ასევე Philip Morris Products S.A.-სა და შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ შორის გაფორმებული სადისტრიბუციო

ხელშეკრულებები და ფასები; რაც შეეხება სხვა ეკონომიკურ აგენტებს, კომპანიას არ გააჩნია არანაირი კორესპონდენცია მათთან დაკავშირებით.

2023 წლის 2 მაისის N02/1194 წერილით შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ ეთხოვა განმეორებით იგივე ინფორმაცია, რაც სააგენტოს მიაწოდა (თარიღი: 06/04/2023; რეგ: N01/1153) წერილით, დღგ-ს ჩათვლით, საქონლის სავარაუდო დაბრუნების გათვალისწინებით და ექსპორტის მონაცემების გამორიცხვით, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 15 მაისის N01/1613 წერილით.

შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ (2023 წლის 3 აგვისტოს N02/2079 წერილით) სააგენტომ წარუდგინა ფაქტობრივი გარემოებები და სთხოვა რიგი საკითხების დაზუსტება/მოწოდება. 2023 წლის 22 აგვისტოს N01/2797 წერილით შპს „ფილიპ მორის საქართველომ“ წარმოადგინა მათ მიერ მომზადებული განმარტებების ცხრილი.

1.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კერძო კომპანიებიდან მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია

მოკვლევის ჯგუფმა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საქმის გარემოებათა გამოკვლევის და დაზუსტების მიზნით მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და კერძო კომპანიებს.

- **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

სააგენტომ 2023 წლის 9 მარტის N02/660 წერილით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან საქმის რელევანტური გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით გამოითხოვა 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ადგილობრივი მწარმოებლების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიიღო 2023 წლის 14 მარტის N01/853 წერილით. სააგენტომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებს (10 კომპანია), რომელთა შესახებ ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მიაწოდა (2023 წლის 14 მარტის N01/853 წერილით), წერილებით მოსთხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ეწეოდნენ თუ არა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების წარმოებას და რა სახეობის თამბაქოს ნაწარმს აწარმოებდნენ.

- **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

სააგენტომ 2023 წლის 9 მარტის N02/654 წერილით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციის წარსადგენად გაუგზავნა სს „თბილისის თამბაქოს“ საჩივარი, ვინაიდან მომჩივანის მიერ მითითებული იყო არა მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევა, არამედ „თამბაქოს კონტროლის შესახებ „საქართველოს კანონის“ სავარაუდო დარღვევაც. 2023 წლის 27 მარტის N01/990 წერილით შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტმა წარმოადგინა ინფორმაცია 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანების მიხედვით დამტკიცებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისთვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენაზე. მას ასევე ეთხოვა (2023 წლის 19 აპრილის N02/1067 წერილით) Camel 1913 Original Yellow და Camel 1913 Original Blue-ს საცალო სარეალიზაციო ფასები 2023 წლისთვის, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 27 აპრილის N01/1384 წერილით.

2023 წლის 29 მაისის N02/1372 წერილით ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა კონკრეტული ფილტრიანი სიგარეტების საცალო სარეალიზაციო ფასები 2022 წლისთვის და შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი (თარიღი:24/03/2023 რეგ: N01/978) ინფორმაციის დაზუსტება. 2023 წლის 12 და 15 ივნისის, შესაბამისად N 01/1950 და N 01/2014 წერილებით მოწოდებულ იქნა სასურველი ინფორმაცია.

- **შპს „გამმა“ (ს/ნ 205054536)**

სააგენტომ 2023 წლის 14 მარტის N02/694 წერილით შპს „გამმასგან“ (ს/კ 205054536) გამოითხოვა 2022 წლის/წლისთვის განხორციელებული კვლევის ანგარიში/დოკუმენტი, ვინაიდან, სააგენტოს ინფორმაციით, შპს „გამმა“ აწარმოებს თამბაქოს ბაზრის კვლევას. 2023 წლის 6 აპრილის N01/1159 წერილით შპს „გამმამ“ დაადასტურა, რომ 2015 წლიდან იკვლევს საქართველოს თამბაქოს ბაზარს [redacted] კომპანიამ წარმოადგინა 2022 და 2023 (იანვარი, თებერვალი) წლის დაბალფასიანი სეგმენტის განვითარების, იმპორტის და ადგილობრივი წარმოების ტრენდები. მან ასევე, მოთხოვნისამებრ, წარმოადგინა[1] Camel ბრენდის ოთხნაირი ფორმატის შვიდი ნაირსახეობის საცალო ფასები 2022 წლის პირველი ნოემბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით (2023 წლის 4 მაისის N01/1487 წერილი).

2023 წლის 19 აპრილს მოკვლევის ჯგუფის მიერ შპს „გამმასთან“ გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე გამოკვეთილი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, მას ეთხოვა დამატებითი მონაცემების გამოგზავნა (2023 წლის 20 აპრილის N02/1077 წერილით), რომელიც სააგენტომ მიიღო

[1] მოთხოვნილია ინფორმაცია 2023 წლის 19 აპრილის N02/1068 წერილით.

2023 წლის 5 მაისის N01/1507 წერილით. თუმცა აქვე აღსანიშნავია საქმისათვის მნიშვნელოვანი ის გარემოებები, რომელიც შპს ,,გამმასთან“ გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლის მიერ გამოიკვეთა:[2]

- თამბაქოს ბაზრის დაბალი სეგმენტი იზრდება და მიმზიდველ სავაჭრო მიმართულებად ყალიბდება (02:00 - 02:11).

- Camel Original Yellow (Blue) და Camel 1913 Original Yellow (Blue), ფილტრიანი სიგარეტების სხვადასხვა ნაირსახეობებია (24:00 - 26:15).

- ფილტრიანი სიგარეტების სამი იმპორტიორი კომპანია (შპს ,,ფილიპ მორის საქართველო“, შპს ,,ელიზი ჯგუფი“ და სს ,,თ და რ დისტრიბუშენი“) ეწევიან ორგანიზებულ ვაჭრობას, რაც მათ მიერ იმპორტირებული სიგარეტების მსხვილი საცალო ქსელისთვის მიწოდებაში გამოიხატება (მაგალითად, ,,სპარი“, ,,ორი ნაბიჯი“ და მსგავსი სავაჭრო ობიექტები), ხოლო ადგილობრივი მწარმოებლები ძირითადად წარმოდგენილნი არიან ე.წ. ჯიხურებში. სავაჭრო ობიექტების 30%-ში ადგილობრივი წარმოება არ არის წარმოდგენილი. (33:30 - 34:58).

- საქართველოს ტერიტორიაზე არ ხორციელდება უფილტრო სიგარეტის იმპორტი (07:16 - 09:15).

- კომპანიის წარმომადგენლის მოსაზრებით, შპს ,,ელიზმა ჯგუფმა“ საკუთარი პროდუქციის ფასი შეამცირა, რადგან შპს ,,ფილიპ მორის საქართველომ“ დაბალ სეგმენტში ახალი სიგარეტი შემოიტანა (19:46 - 20:55).

ამასთან, 2023 წლის 6 ივნისის N02/1861 წერილით შპს „ფილიპ მორის საქართველომ“ სააგენტოში წარმოადგინა დამატებითი პოზიცია, სადაც მითითებულია, რომ შპს „გამმას“ კვლევის თანახმად 2022 წელს ზემოთ აღნიშნულ კომპანიას უკავია ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე [redacted]; 2022 წლის ბოლოს ყველაზე დაბალფასიანი სეგმენტი წარმოადგენდა გაყიდული მოცულობის დაახლოებით [redacted], რაც 2019 წლის ბოლოს არსებული [redacted] რამდენჯერმე [redacted] აქედან გამომდინარე 2023 წლის 9 ივნისის N02/1548 წერილით ეთხოვა შპს „გამმას“ მოეწოდებინა ინფორმაცია თუ როდის ჩატარდა კვლევა, რომელი დონე იქნა მიჩნეული კვლევის საგნად და რომელი მეთოდოლოგია გამოიყენეს. 2023 წლის 3 ივლისის N01/2197 წერილით წარმოადგინა შპს „გამმამ“ განხორციელებული კვლევის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

[2] საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N 1 - შპს ,,გამმა“, თარიღი: 19.04.2023.

2023 წლის 12 სექტემბრის N02/2400 წერილით შპს „გამმას“ ეთხოვა 2023 წლის პირველი აპრილიდან 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით გაყიდვების მოცულობა და საცალო ფასები შემდეგ პროდუქტებზე: 1. Camel 1913 Original Yellow – Camel 1913 Original Blue; 2. L&M First Cut Red – L&M First Cut Blue; 3. Pall Mall Compact Blue; 4. Pirveli Intenational Special Blue; 5. Pirveli Intenational Special Red; 6. Pirveli Premium Special, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 5 ოქტომბრის N01/3347 წერილით.

- **სსიპ შემოსავლების სამსახური**

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 10 მარტის N02/676 წერილით შემოსავლების სამსახურს ეთხოვა ერთიანი ელექტრონული ბაზიდან მოძიებული ინფორმაციის, კერძოდ, საბაჟო დეკლარაციების ამსახველი ექსელის ფაილის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი რამდენიმე საკითხის დაზუსტება: ფილტრიანი (2402 20900 02) და უფილტრო (2402 20 900 01) სიგარეტების იმპორტის მონაცემები 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე (წლების მიხედვით, ცალ-ცალკე) მდგომარეობით; დასახელებულ ,,BD“ სვეტში გამოყენებული ერთეულის სახეობა და ფასი.

2023 წლის 24 მარტის N01/978 წერილით შემოსავლების სამსახურმა წარმოადგინა, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ელექტრონული ბაზების მიხედვით, მოთხოვნილი ინფორმაცია. მოთხოვნისამებრ, მან ასევე სააგენტოში გამოაგზავნა ინფორმაცია 2021 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 21 მარტის ჩათვლით პერიოდში ფილტრიანი სიგარეტების იმპორტის ინვოისებზე - Camel Original Yellow – Camel Original Blue, L&M First Cut Red - L&M First Cut Blue, Pall Mall Compact Blue (2023 წლის 3 აპრილის 01/1081წერილით), თამბაქოს მწარმოებლების მიერ გატანილი აქციზური მარკების შესახებ, 2020 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, გადამხდელების დასახელების და საიდენტიფიკაციო ნომრების მითითებით (2023 წლის 21 აპრილის N01/1315 წერილით) და აღნიშნა, რომ 2021 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე უფილტრო სიგარეტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევის შესახებ ინფორმაცია, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ეროვნულ ბაზებში, არ იძებნება (2023 წლის 4 აპრილის N01/1109 წერილით).

საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, 2023 წლის 26 აპრილის N02/1107 წერილით შემოსავლების სამსახურს ეთხოვა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების თაობაზე, განემარტათ თუ რა მიიჩნევა

საქონლის ერთეულად და როგორ უნდა იქნეს გამოანგარიშებული ერთი ერთეული კოლოფი სიგარეტის ფასი და რომელსაც სამსახურმა უპასუხა 2023 წლის 5 მაისის N01/1520 წერილით. შემოსავლების სამსახურს ასევე ეთხოვა (2023 წლის 3 ივლისის N02/1746 წერილით) მხოლოდ 2022 წლის განმავლობაში შემდეგი კომპანიების მიერ გამოწერილი ზედნადებების შესახებ ინფორმაცია: 1. შპს „ფილიპ მორის საქართველო“ (ს/ნ 404387374); 2. შპს „ელიზი ჯგუფი“ (ს/ნ 204920381); 3. უცხოური საწარმოს ფილიალი ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი საქართველო, თბილისის წარმომადგენლობა (ს/ნ 211401160); 4. შპს „პ და ლ“ (ს/ნ 406040118); 5. შპს „ბჯ ტობაკო“ (ს/ნ 405456233); 6. შპს „ინტერნეიშნლ მარკეტინგ ენდ თრეიდინგ“ (ს/ნ 420424393); 7. შპს „ბ & ჯ“ (ს/ნ 202218803); 8. სს „თბილისი თამბაქო“ (ს/ნ 206093528); 9. შპს „თერაზი“ (ს/ნ 448386381); 10. შპს „დემექსი“ (ს/ნ 433107880); 11. სს „თ & რ დისტრიბუშენ“ (ს/ნ 404387374), რომლის პასუხად ინფორმაცია მიღებულ იქნა 2023 წლის 14 ივლისის N01/2346 წერილით (ასევე იხ. 2023 წლის 31 ივლისის N01/2550 წერილი).

- **შპს „ინტერნეიშნლ მარკეტინგ ენდ თრეიდინგ“ (ს/ნ 420424393)**

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ინტერნეიშნლ მარკეტინგ ენდ თრეიდინგ“ წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის მოქმედ ეკონომიკურ აგენტს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, ეთხოვა რიგი ინფორმაციის წარმოდგენა (2023 წლის 13 აპრილის N02/1034 წერილით), რომელიც მოგვაწოდა 2023 წლის პირველი მაისის 01/1406 წერილით. საკითხის დაზუსტების მიზნით, 2023 წლის პირველი მაისის N02/1163 წერილით, კვლავ ეთხოვა დამატებით ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 5 მაისის N01/1519 წერილით.

- **შპს „ბჯ ტობაკო“ (ს/ნ 405456233)**

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ბჯ ტობაკო“ წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის მოქმედ ეკონომიკურ აგენტს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, ეთხოვა რიგი ინფორმაციის წარმოდგენა (2023 წლის 13 აპრილის N02/1033 წერილით), რომელიც მოგვაწოდა 2023 წლის 28 აპრილის N01/1402 წერილით. საკითხის დაზუსტების მიზნით, 2023 წლის პირველი მაისის N02/1164 წერილით ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 5 მაისის N01/0511 წერილით (ასევე იხ. 2023 წლის 18 მაისის N01/1663 წერილი).

- **შპს „სტარი“ (ს/ნ 405347227)**

სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 21/04/2023 რეგ: N01/1315), შპს „სტარის“ მიერ 2021 წელს - [redacted] ხოლო 2022 წელს [redacted] ოდენობის აქციზური მარკა იქნა გატანილი შემდეგი დასახელების მიხედვით: [redacted] 2023 წლის 25 აპრილის N02/1095 წერილით შპს „სტარს“ ეთხოვა ინფორმაცია 2021-2022 წლებში აქციზური მარკების გატანის თაობაზე, რომელმაც დაადასტურა (2023 წლის 2 მაისის N01/1454 წერილით) სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

- **შპს „ქართული თამბაქოს წარმოება“ (ს/ნ 434177160)**

სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 21/04/2023 რეგ: N01/1315) შპს „ქართული თამბაქოს წარმოების“ მიერ 2021 წელს - [redacted], ხოლო 2022 წელს [redacted] ოდენობის აქციზური მარკა იქნა გატანილი შემდეგი დასახელების მიხედვით: [redacted] 2023 წლის 25 აპრილის N02/1094 წერილით შპს „ქართული თამბაქოს წარმოებას“ ეთხოვა ინფორმაცია 2021-2022 წლებში აქციზური მარკების გატანის თაობაზე, რომელმაც დაადასტურა (2023 წლის 5 მაისის N01/1516 წერილით), სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

- **შპს „პოსეიდონი“ (ს/ნ 206089258)**

სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 21/04/2023 რეგ: N01/1315) შპს „პოსეიდონის“ მიერ 2021 წელს - [redacted], ხოლო 2022 წელს [redacted] ოდენობის აქციზური მარკა იქნა გატანილი შემდეგი დასახელების მიხედვით: [redacted] 2023 წლის 25 აპრილის N02/1097 წერილით შპს „პოსეიდონს“ ეთხოვა ინფორმაცია 2021-2022 წლებში აქციზური მარკების გატანის თაობაზე, რომელმაც დაადასტურა (2023 წლის 2 მაისის N01/1451 წერილით), სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

- **შპს „ბ & ჯ“ (ს/ნ 202218803)**

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, შპს „ბ & ჯ“-ს ეთხოვა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე კომპანიის წლიური ფინანსური ბრუნვის თაობაზე მონაცემების გამოგზავნა 2021-2022 წლების მიხედვით (2023 წლის 2 მაისის N 02/1189 წერილით). ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული აღნიშნული ინფორმაცია ასევე დამატებით გადამოწმდა სსიპ

შემოსავლების სამსახურისგან მოპოვებული მონაცემებით - კომპანიების მიერ 2022 წლის განმავლობაში გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების შესახებ (თარიღი: 31.07.2023; რეგ: N 01/2550). აღნიშნული შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ შპს „ბ & ჯ“-ს 2022 წლის განმავლობაში უფიქსირდებოდა ბრუნვა [redacted] ოდენობით.

- **შპს „პ და ლ“ (ს/ნ 406040118)**

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, შპს „პ და ლ“-ს ეთხოვა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე კომპანიის წლიური ფინანსური ბრუნვის თაობაზე მონაცემების გამოგზავნა 2021-2022 წლების მიხედვით (2023 წლის 2 მაისის N 02/1190 წერილით). 2023 წლის 29 მაისის N 01/1781 წერილით წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია.

- **უცხოური საწარმოს ფილიალი ,,ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი საქართველო“, თბილისის წარმომადგენლობა (ს/ნ 211401160)**

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, ,,ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი საქართველოს“ ეთხოვა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე კომპანიის წლიური ფინანსური ბრუნვის თაობაზე მონაცემების გამოგზავნა 2021-2022 წლების მიხედვით (2023 წლის 2 მაისის N02/1188 წერილით), რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 10 მაისის N01/1554 წერილით.

- **შპს „დერმეკსი“ (ს/ნ 433107880)**

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, შპს „დერმეკსის“ ეთხოვა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე კომპანიის წლიური ფინანსური ბრუნვის თაობაზე მონაცემების გამოგზავნა 2021-2022 წლების მიხედვით (2023 წლის 2 მაისის N02/1187 წერილით). 2023 წლის 18 მაისის N01/1664 წერილით წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია (ასევე, 2023 წლის 23 მაისის N01/1711 წერილი).

- **შპს „თერაზი“ (ს/ნ 448386381)**

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, შპს „თერაზის“ ეთხოვა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე კომპანიის წლიური ფინანსური ბრუნვის თაობაზე მონაცემების გამოგზავნა 2021-2022

წლების მიხედვით (2023 წლის 2 მაისის N02/1193 წერილით), რომელიც წარმოადგინა 2023 წლის 15 მაისის N 01/1592 წერილით.

- **სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს ეთხოვა (2023 წლის 28 ივლისის N02/2029 წერილით) მწეველების შესახებ ინფორმაცია და ჩატარებული სტატისტიკური კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როგორც სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განუცხადა სააგენტოს (2023 წლის 16 აგვიტოს N01/2731 წერილით), თამბაქოს მოხმარების შესახებ უახლესი სტატისტიკურ მონაცემები მოიპოვება 2019 წელს ჩატარებული თამბაქოს ეროვნული კვლევის საფუძველზე.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით

2.1 ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა და დაცვა, აგრეთვე ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დებულებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საქმიანობს დამოუკიდებლობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს

აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

თავად „დომინანტური მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ

უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს, ხოლო დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალებათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები" განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების 6 გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ;

ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. კანონის 33^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;
ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;
გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;
დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;
ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;

3) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 33 ბრძანება.

2.2 პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;
ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;
გ) მოიწვიოს ექსპერტი;
დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ნაწილი 2. თამბაქოს ინდუსტრიის მარეგულირებელი კანონმდებლობა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია თამბაქოს კონტროლის შესახებ - თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციის ძირითადი მიზანია, დაიცვას ამჟამინდელი და მომავალი თაობები თამბაქოს მოხმარებითა და თამბაქოს კვამლის ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესებისაგან. მიზნის მისაღწევად, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ თამბაქოს კონტროლის მრავალდარგობრივი ეროვნული სტრატეგიის, გეგმებისა და პროგრამების განვითარება, დანერგვა, პერიოდული შესწორება და განხილვა, კონვენციისა და მისი ოქმების შესაბამისად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციას საქართველომ 2004 წლის 20 თემებრვალს მოაწერა ხელი (ძალაში შევიდა 2006 წლის 15 მაისიდან). შესაბამისად, ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულება, შეესრულებინა კონვენციით დადგენილი ყველა ვალდებულება.

ასოცირების შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია მხარეთა თანამშრომლობა თამბაქოსთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ: საბაჟო თანამშრომლობა (მუხლი 71); დაბეგვრა (მუხლი 283); საზოგადოებრივი ჯანდაცვა (მუხლი 356).

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი - განსაზღვრავს და აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს თამბაქოს კონტროლის სფეროში. კერძოდ, კანონი ადგენს თამბაქოს კონტროლის ძირითად პრინციპებს; განსაზღვრავს თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებს და თამბაქოს კონტროლის სფეროს მარეგულირებელ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს; ადგენს შეზღუდვებსა და წესებს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის ან/და განლაგებისათვის.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არეგულირებს: თამბაქოს ნაწარმის შეფუთვასა და დიზაინს; თამბაქოს ექსპორტსა და იმპორტს; სიგარაბარის მოწყობის ნებართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და სანებართვო პირობებს; ადგენს პასუხისმგებლობას სიგარაბარის მოწყობის სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის და უზრუნველყოფს მომხმარებლის ფალსიფიცირებული

პროდუქტისაგან დაცვას. კანონი ასევე ზღუდავს თამბაქოს მოხმარებას, მათ შორის, განსაზღვრავს იმ ადგილებს, სადაც საერთოდ აკრძალულია თამბაქოს მოხმარება.

აღსანიშნავია, რომ ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია „უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის სადღეღამისო ულუფაში შეტანით". აღნიშნული ნორმის სიტყვების „ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად" ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მართლზომიერი ეკონომიკური ინტერესის არსებობისას კრძალავს თამბაქოს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ბაზარზე მოქმედ მეორე ეკონომიკურ აგენტზე თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას, ძალადაკარგულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის N 1/2/876 გადაწყვეტილებით.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი - 29-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკას, რომლის მიზანია თამბაქოს მოხმარების შემცირება და საბოლოო აღმოფხვრა, ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი - არეგულირებს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამის საკითხებს. კანონის თანახმად, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამად ითვლება თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ან მისი მწარმოებელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი ან/და საბითუმო მოვაჭრე მეწარმე სუბიექტის რეკლამა, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, მისი კოლოფის, ყუთის, მოხმარების პროცესის ან მათთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირება.

კანონის 8^2 მუხლის თანახმად, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ყველა სახის რეკლამა, გარდა ექსკლუზიურად თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლისთვის განკუთვნილი ბეჭდური ან ელექტრონული გამოცემისა, რომელიც არ არის განკუთვნილი და არ ვრცელდება სხვა პირზე.

გარდა ამისა, თუ ფილმი ან სხვა შემოქმედებითი პროდუქცია, სადაც ნაჩვენებია თამბაქო, თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მოხმარება, ითვლება 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანზე მავნე ზეგავლენის მომხდენ ფილმად/სხვა შემოქმედებით პროდუქციად - ასეთი

ფილმის/სხვა შემოქმედებითი პროდუქციის ჩვენებისას, ჩვენების დასაწყისსა და ბოლოში, ჩნდება, თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული ტელე ან რადიო რგოლის ან ბეჭდვითი მასალისათვის, პიქტოგრამის ჩვენების ვალდებულება.

კანონის მე-13 მუხლი არეგულირებს სპონსორობის[3] საკითხს. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მწარმოებლის, იმპორტიორისა და რეალიზატორის მიერ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი (ანუ სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის საშუალებით) სპონსორობა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი - 63-ე მუხლი კრძალავს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამას.

„მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი - მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან. კანონით აკრძალულია არასრულწლოვანთათვის თამბაქოს მიყიდვა; ასევე, არასრულწლოვანთა მიერ თამბაქოს რეალიზაცია და თამბაქოს რეალიზაცია საგანმანათლებლო, სასწავლო აღმზრდელობით დაწესებულებებსა და მათ ტერიტორიაზე (მე-4 მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - 192-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე ან/და სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივად დასჯადია შემდეგი ქმედებები:

- აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა. აღსანიშნავია, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება 2000 ლარს აღემატება (მუხლი 200);

[3] ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, სპონსორობა განიმარტება როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით.

- ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება (მუხლი 200[1]);

- აქციზური მარკების მეორეადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონელზე დასატანად გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს (მუხლი 200[2]).

საქართველოს საგადასახადო კოდექსი - მე-6 მუხლის შესაბამისად, აქციზი არის ერთ-ერთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი. კანონის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება თამბაქოს ნაწარმი, მათ შორის თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები.

საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილთ განსაზღვრულია აქციზის განაკვეთები. კერძოდ, თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები 1 კილოგრამზე იბეგრება 60 ლარით, ხოლო თამბაქოს შემცველობის მქონე სიგარეტები 20 ღერზე 1.7 ლარით. ამასთან, 188-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თამბაქოს შემცველობის მქონე ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტებისათვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთს შეადგენს 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან 1 წლის განმავლობაში. საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით იმპორტის გადასახადის 12 პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები.

საქართველოს საბაჟო კოდექსი - 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანას, შენახვას, წარმოებას ან/და რეალიზაციას, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის მიხედვით დასაშვებია საქონლის შეტანა ადგილზე მოხმარებისთვის. მისი შეტანა საქონლის ექსპორტად არ მიიჩნევა.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - აღნიშნული

ბრძანების 771 მუხლით დადგენილია ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ფილტრიანი სიგარეტებისათვის/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამს. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში.

მიღებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის N58 დადგენილება **„საქართველოში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.“**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის N 285 დადგენილებით შემუშავებულია **თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის.**

თავი III. საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა

ნაწილი 1. საერთაშორისო პრაქტიკა

3.1 ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი

ევროკავშირის კომისიას აქვს ერთიანი მიდგომა აღნიშნული ბაზრის შესაბამისი პროდუქციული საზღვრების დადგენის დროს. როგორც ქვემოთ მოცემული მაგალითებიდან ჩანს, კომისია ქარხნულად წარმოებულ სიგარეტებს თამბაქოს სხვა პროდუქტებიდან განცალკევებულ ბაზრად აღიქვამს და არ მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნული ბაზრის დამატებით სეგმენტაციას.

BAT/ROTHMANS, საქმე No IV/M.1415,[4] 1999 წ. თამბაქოს მწარმოებელი ორი მულტინაციონალური კომპანიის BAT (British-American Tobacco) და ROTHMANS-ის

[4] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m1415_en.pdf

შერწყმის საკითხის განხილვისას, კომისიამ სიგარეტის ბაზარი განიხილა ერთ მთლიან ბაზრად და საჭიროდ არ ჩათვალა მისი სეგმენტაცია. მხარეების მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, სიგარეტის ბაზრის დაყოფა შეიძლება სხვადასხვა გარეგნული (გამოსახულება, ზომა, სიგრძე, შეფუთვა) და შინაგანი (გემო და არომატი, ბლენდი, კუპრის შემცველობა, ნიკოტინის დონე) მახასიათებლების მიხედვით. ასევე, განიხილებოდა ბაზრის დაყოფა dark და blonde ტიპის სიგარეტებად.[5] **თუმცა, კომისიამ საქმის განხილვისას ბაზრის ამ ნიშნების მიხედვით დაყოფა ღიად დატოვა, რადგან ორივე კომპანია აწარმოებდა სიგარეტების ფართო ასორტიმენტს მომხმარებელთა გემოვნების მრავალფეროვნების მაქსიმალურად გათვალისწინებით. ამასთან, ორივე მწარმოებლისთვის შეფუთვა, წარმოების მეთოდები, ტექნოლოგია, დისტრიბუცია საკმაოდ მსგავსი იყო.**

Imperial Tobacco Group plc / Reemtsma Cigarettenfabriken GmbH, საქმე No COMP/M.2779,[6] 2002 წ. კომისიის შეფასებით, ქარხნულად წარმოებული სიგარეტები (FMC) წარმოადგენენ ისეთ პროდუქტს, რომელებიც გარეგნულად მსგავსია და მოიხმარება ერთი და იმავე მიზნით. ასეთი ტიპის სიგარეტებს აქვთ უამრავი საერთო გარე მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მათ პრეზენტაციასთან (ანუ შეფუთვის ზომა, სიგრძე, შეფუთვა, დიამეტრი). ქარხნულად წარმოებული სიგარეტები (FMC) ბაზარზე შემოთავაზებულია შიდა მახასიათებლების სხვადასხვა კომბინაციებით, რომლებიც დაკავშირებულია თამბაქოს ნაზავთან, გემოსთან და არომატთან, კუპრის შემცველობასთან, ნიკოტინის დონესთან. აღნიშნული მახასიათებლები, თავის მხრივ, ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია ბრენდში (ან ბრენდის ჯგუფში). მომხმარებლების მხრიდან ბრენდები იდენტიფიცირებულია და დაკავშირებულია მათ იმიჯთან, ხარისხთან და, თავის მხრივ, ბრენდების პოზიციონირება ძლიერდება სარეკლამო და პრომო აქტივობებით.

კომისიის მოსაზრებით, გარკვეულწილად შესაძლებელია ქარხნული წარმოების სიგარეტის ბაზრის შემდგომი სეგმენტაცია, ამასთან, ზოგიერთი დისტრიბუტორი და სიგარეტის მწარმოებელიც მარკეტინგული მიზნებისთვის ბაზარს გემოს და ფასის მიხედვით ყოფს, **თუმცა, კომისიამ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიიჩნია BAT/Rothmans-ის კონცენტრაციის საქმეზე გამოყენებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ქარხნული წარმოების სიგარეტის ბაზრის სეგმენტაცია რაიმე კრიტერიუმის მიხედვით იქნებოდა „აზრს მოკლებული." შესაბამისად, კომისიის დასკვნით, ქარხნული წარმოების სიგარეტების ბაზარი უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი ბაზარი.**

---

[5] **შენიშვნა:** Dark-ტიპის თამბაქო გამოირჩევა ნიკოტინის მაღალი შემცველობით, რადგან ხდება თამბაქოს ფოთლის გაურეცხავად გახმობა, ხოლო Blonde-ტიპის თამბაქოს უფრო ნაკლები ნიკოტინის შემცველობა აქვს და გახმობამდე ირეცხება სხვადასხვა სპეციალური საშუალებების გამოყენებით.

[6] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m2779_en.pdf

PHILIP MORRIS / PAPASTRATOS, საქმე No COMP/M.3191[7], 2003 წ. მხარეებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არის შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრა სხვადასხვა სეგმენტების მიხედვით, ბრენდის მარკეტინგის მიზნებისათვის, ისინი ბაზარს ყოფენ სხვადასხვა სეგმენტებად, რომლებიც განსაზღვრულია ბრენდის მახასიათებლებით, ფასით, გემოთი, თამბაქოს სახოების შემცველობითა და კოლოფის ზომით.

კომისიამ მოიშველია წინა გადაწყვეტილებებში არსებული მსჯელობა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ქარხნული სიგარეტების სგემენტაცია სხვადასხვა კრიტერიუმით, ასეთი სეგმენტაცია უმეტეს შემთხვევებში პირობითი და აზრს მოკლებული იქნებოდა. მიუხედავად მხარეების მიერ ბაზრის მარკეტინგული მიზნებისათვის დაყოფის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისა, აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, რადგან ბაზრის ალტერნატიული დაყოფის შემთხვევაშიც კონცენტრაცია არ შექმნიდა/გააძლიერებდა დომინირებულ მდგომარეობას, კომისიამ კვლავ ერთიან ბაზრად განიხილა ქარხნულად წარმოებული სიგარეტები.

IMPERIAL TOBACCO/ALTADIS, საქმე No COMP/M.4581,[8] 2007 წ. 2007 წელს ევროკომისია განიხილავდა თამბაქოს პროდუქტების მწარმოებელი ორი კომპანიის, IMPERIAL TOBACCO და ALTADIS გაერთიანების საკითხს. ორივე კომპანია ჩართული იყო ქარხნული სიგარეტის, სიგარების და გადასახვევი სიგარეტების წარმოებაში.

მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქარხნული და გადასახვევი სიგარეტის ბაზარი ერთი და იგივეა, რადგან, როგორც მომხმარებლის, ისე მწარმოებლის მხრიდან მათი ურთიერთჩანაცვლებადობის დონე მაღალია. თუმცა, კომისიის თვალსაზრისით, მათი ფიზიკური და ტექნიკური მახასიათებლები განსხვავდება და ასევე ისინი განსხვავებულად იბეგრებიან. კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვითაც, მომხმარებელთა უმრავლესობამ ქარხნული და გადასახვევი სიგარეტი განსხვავებულ ბაზრებად მიიჩნია. ამდენად, კომისიამ ქარხნული სიგარეტის, გადასახვევი სიგარეტის, სიგარებისა და „ჩიბუხის თამბაქოს“ ბაზრები ცალ-ცალკე ბაზრებად განიხილა.

ქარხნული სიგარეტის ბაზარი, ევროკომისიის გადაწყვეტილებების მიხედვით, არ დაყოფილა ცალ-ცალკე სეგმენტებად ბრენდის ან ფასის მიხედვით, რადგან მომხმარებლები არჩევანს ამ მახასიათებლებს შორის შემთხვევითობის პრინციპით აკეთებენ და ანალიზისთვის არ იქნებოდა მნიშვნელოვანი ამ სახით ბაზრის დაყოფა. განმცხადებელმა შესთავაზა კომისიას ამ ბაზრის დაყოფა არა ფასისა და ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, არამედ dark/blonde-ეობის მიხედვით. თუმცა კომისიამ

[7] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m3191_en.pdf
[8] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m4581_20071018_20212_en.pdf

არ ჩათვალა საჭიროდ ბაზრის ამ ნიშნით დაყოფა. ხშირ შემთხვევაში მწარმოებლები ბაზარს ასევე ყოფენ რამდენიმე სეგმენტად - გემოს და არომატის, გამოსახულების და სხვა ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, რადგან მომხმარებლები ამ ნიშნების მიხედვით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ პროდუქციას. საბოლოო ჯამში, კომისიამ არ გააკეთა სიგარეტის ბაზრის უფრო დავიწროება და იგი განიხილა ერთ მთლიან ბაზრად.

Japan Tobacco Inc./Galaher Group Plc. საქმე No COMP/M.4424,[9] 2007 წ. აღნიშნულ საქმეშიც, კომისიამ გაიმეორა დამკვიდრებული პრაქტიკა. კონცენტრაციიის ორივე მხარე აქტიური იყო როგორც ქარხნული სიგარეტების, ასევე გადასახვევი თამბაქოს ბაზრებზე. კომისიამ ეს ორი ბაზარი განიხილა ცალ-ცალკე ბაზრებად. აღსანიშნავია, რომ ქარხნული სიგარეტის ბაზრის შემდგომი სეგმენტაცია კომისიამ აღნიშულ საქმეშიც საჭიროდ არ მიიჩნია და არგუმენტად მოიშველია უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა ზემოთ აღნიშნული საქმეებიდან.

დიდი ბრიტანეთის კონკურენციისა და ვაჭრობის უწყება (OFT), საქმე CE/2596-03,[10] 2010 წ. 2010 წელს განხილულ კონცენტრაციის ამ საქმეში, OFT-მ გაიმეორა კომისიის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა და, მიუხედავად ბრიტანეთის ბაზარზე სიგარეტებს შორის არსებული განსხვავებული ფასების, შეფუთვის, ზომის, გემოს და სხვა მახასიათებლებისა, სიგარეტების ბაზრის დამატებითი სეგმენტაცია არაგონივრულად ჩათვალა.

3.2 აშშ

2004 წელს **Reynolds-ისა და Brown & Williamson-ის[11]** შერწყმის განხილვისას აშშ-ს ფედერალური სავაჭრო კომისიის განცხადებით, სიგარეტის სახეობები ძალზედ დიფერენცირებულია და მისი მწარმოებლები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ სხვადასხვა კუთხით. მათ შორის, გემო, შეფუთვა, ფიზიკური მახასიათებლები, მარკეტინგი, პრომოუშენი, და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომისიამ დაასკვნა, რომ სიგარეტების ბაზრის დავიწროვებისათვის არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები.[12] 2015 წელს **Reynolds-ისა და Lorillard-ის[13]** შერწყმის განხილვისას, კომისიამ ასევე არ ჩათვალა საჭიროდ სიგარეტების ბაზრის სეგმენტაცია. ,,მომხმარებლები არ მიიჩნევენ თამბაქოს ალტერნატიულ პროდუქტებს სიგარეტების ჩამნაცვლებლად. სიგარეტების მწარმოებლების ხედვითაც, სიგარეტები და თამბაქოს სხვა პროდუქტები ცალ-ცალკე კატეგორიებში გადის, ასევე, სიგარეტის ფასები არ არის

[9] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m4424_20070221_20310_en.pdf
[10] https://assets.publishing.service.gov.uk/media/555de4b7e5274a7084000154/tobacco.pdf
[11] https://www.ftc.gov/sites/default/files/documents/cases/2004/06/040622batrjrstmt.pdf
[12] იქვე, გვ. 2.
[13] https://www.ftc.gov/system/files/documents/federal_register_notices/2015/06/150608reynoldsfrn.pdf

მნიშვნელოვნად შეზღუდული თამბაქოს სხვა ნაწარმით."[14] ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ შესაბამის ბაზრად განსაზღვრა ტრადიციული აალებადი სიგარეტები.[15] ბაზრის პროდუციული საზღვრების აღნიშნული დეფინიცია შეესაბამება როგორც 2004 წელს Reynolds-ისა და Brown & Williamson-ის შერწყმის საქმეზე კომისიის მსჯელობას, ასევე 1911 წლისა და 1946 წლის კონკურენციის კანონმდებლობის საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებს.[16]

განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა პროდუქციული ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით ამერიკის ანტიტრასტული ინსტიტუტის (the American Antitrust Institute) მხრიდან, როდესაც განიხილებოდა თამბაქოს პროდუქტების მწარმოებელი ორი კომპანიის R.J. Reilolds-ის და British American Tobacco-ს შერწყმის საქმე. კონკურენციის დაცვის ოფისმა სიგარეტის ბაზარი რამდენიმე კატეგორიად დაყო, რომლებიც ერთმანეთისაგან, ძირითადად, ფასების მიხედვით განსხვავდებოდა. პირველ კატეგორიაში შედის ბრენდები, რომლის ერთი ბლოკი იყიდება 27 $-ად (2003 წელს), მეოთხე კატეგორიაში შემავალი კი იყიდება 9 $-ად. მეორე და მესამე კატეგორიების ფასები მერყეობს მათ შორის. პირველი კატეგორიის სიგარეტები ითვლება პრემიუმ ბრენდებად, მეორე და მესამე საშუალო ხარისხის სიგარეტებია, ხოლო მეოთხე - იაფფასიანი.

ახალი მწეველები, ძირითადად, იწყებენ პრემიუმ კატეგორიის სიგარეტით. შემდგომ, როდესაც ისინი ეჩვევიან სიგარეტის მოხმარებას, აცნობიერებენ რომ მათი დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადაერთვებიან ხოლმე უფრო დაბალი ფასის სიგარეტზე. პრემიუმ კატეგორია, ძირითადად, ეყრდნობა ბრენდის მიმართ ლოიალურობას და მათი ფასი კონკურენტულზე გაცილებით მაღალია. მეორე და მესამე კატეგორია, ძირითადად, იმ ტიპის მწეველებისთვისაა განკუთვნილი, რომლებისთვისაც ფასი არის ყურადსაღები ფაქტორი, თუმცა ბრენდიც მნიშვნელოვანია. მეოთხე კატეგორიის მომხმარებლები არიან ფასის მიმართ მგრძნობიარეები და ბრენდის მიმართ არალოიალურები. ამიტომ კონკურენციის დაცვის ოფისმა მიიჩნია, რომ პროდუქციული ბაზარი ამ ნიშნის მიხედვით უნდა დაყოფილიყო.[17]

---

[14] დამატებით იხ. Tauras JA, Levy D, Chaloupka FJ, et al. Menthol and non-menthol smoking: the impact of prices and smoke-free air laws. Addiction. 2010; 105 Suppl 1:115–123.

[15] https://www.ftc.gov/system/files/documents/federal_register_notices/2015/06/150608reynoldsfrn.pdf. გვ.2.

[16] United States v. American Tobacco Co, 221 106 (*Supreme Court 1911*) და American Tobacco Co. v. United States. 1946;328 U.S. 781 (No. 18).

[17] იხ. შპს „დუთი ფრი ჯორჯიას" საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 43, 2016 წლის 28 მარტი. (აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 23 ოქტომბრის მდგომარეობით, აღნიშნული უცხოენოვანი წყარო არ იძებნება).

3.3. OECD-ის რეგიონალური ცენტრის (RCC) ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია

ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ბაზრის პროდუქციული საზღვრების მოკვლევის/შესწავლის მიზნით კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (RCC) ბენეფიციარ სააგენტოებს გაეგზავნათ წერილობითი თხოვნა მათი პრაქტიკის გაზიარების თაობაზე.

აღნიშნული კორესპონდენციის ფარგლებში, სააგენტომ დააზუსტა გარემოება იმის თაობაზე, თუ რა სახის პრაქტიკა არსებობდა ზოგადად თამბაქოს ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით.

საქმის მოკვლევის პროცესში, სააგენტოში შემოვიდა 10 სახელმწიფოს კონკურენციის კომისიების/სააგენტოების/სამსახურების პასუხები.[18]

- **სერბეთის კონკურენციის უწყება**

2015 წლის ნოემბრიდან 2019 წლის მაისამდე სერბეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ გამოიკვლია ქარხნული წარმოების სიგარეტების მწარმოებელთა სავარაუდო შეთანხმებული ქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის დაცვის კომისიამ ვერ დაადგინა კონკურენციის დარღვევა განხილულ საქმეზე, კომისიამ ჩაატარა ბაზრის მასშტაბური ანალიზი.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, საქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, კომისია უპირველესად სიგარეტს განიხილავდა თამბაქოს ყველაზე მოხმარებად პროდუქტად, რომელიც შეადგენს მთლიანი გაყიდვების 90%-ზე მეტს. თამბაქოს ადმინისტრირების (Tobacco Administration) მონაცემების მიხედვით დაფასოებული სიგარეტი თამბაქოს 99 % შეადგენდა.

კომპანია Nielsen-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ყველაზე გაყიდვად სიგარეტს წარმოადგენს ,,King Size" სიგარეტი, სიგარეტის 88,1% იყიდება მყარი შეფუთვით და სიგარეტის 99,4% არ არის არომატიზირებული.

[18] სააგენტოში შემოსული კორესპონდენციის მიხედვით, 10 საპასუხო წერილიდან, ინფორმაცია წარმოდგენილია 6 უწყების მიერ.

კომისიამ ბაზრის შესწავლისას ასევე გაითვალისწინა „შავი ბაზრის“ არსებობა, სადაც თამბაქოს ნაწარმი უფრო იაფია. თუმცა რიგი პრობლემების გამო შესაბამისი ბაზრის შეფასებისას და განსაზღვრისას ეს პროდუქტი უგულებელყოფილ იქნა.

სიგარეტების მწარმოებლები და იმპორტიორები, რომლებიც სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ, ბაზარზე წარმოდგენილნი არიან სიგარეტების ბრენდების ფართო რაოდენობით. აღნიშნული ბრენდები ბაზარზე პოზიციონირებენ სხვადასხვა საფასო სეგმენტებში (დაბალი, ფასთან შესაბამისი, საშუალო, პრემიუმთან მიახლოებული და პრემიუმი). შესაბამისად, განხორციელებული მოკვლევის პროცესში, კონკურენციის დაცვის კომისიამ განიხილა სიგარეტის ბაზრის სეგმენტირება ზემოაღნიშნული საფასო სეგმენტაციის საფუძველზე, თუმცა, დაასკვნა, რომ ბაზრის რაიმე ზემოაღნიშნული ან სხვა კრიტერიუმებით სეგმენტაცია დაუსაბუთებელი იქნებოდა. ამასთანავე, მხარეთა სავარაუდო ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა ბრენდებსა და ერთეულებს სხვადასხვა საფასო სეგმენტში, კომისიამ დაასკვნა, რომ მოკვლევის მიზნებისათვის საჭირო არ იყო დამატებით გამოკვლეულიყო ბაზრის საფასო კატეგორიების გამოყენებით სეგმენტაციის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მოკვლევის მიზნებისათვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები განისაზღვრა, როგორც სიგარეტების ბაზარი.

დამატებით, მოკვლევის პროცესში, კომისიის მიერ მხედველობაში მიღებულ იქნა ის გარემოება, რომ სერბეთში აქციზირებული პროდუქტებით ვაჭრობა ზედმიწევნით არის რეგულირებული და კონტროლირებული, ხოლო აქციზირებული პროდუქტი აწყდება ლიმიტირებულ საბაზრო და სავაჭრო პირობებს, რომელთაც ასევე შეუძლიათ პოტენციური შეზღუდვა იქონიოს კონკურენციაზე.

მოკვლევის პროცესში თამბაქოს ბაზარი უმეტესად გაანალიზებულ იქნა ინდივიდუალური კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისებით, რომელიც ფოკუსირებულ იყო ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე.

თამბაქოს დისტრიბუციის ბაზრის პროდუქციული ბაზრის განსაზღვრისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი:

- ერთიდაიგივე სადისტრიბუციო არხი და კერძო ურთიერთობა დისტრიბუტორსა და მწარმოებელს შორის, განპირობებეულია ყველა სახეობის თამბაქოს დისტრიბუციით. აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობა არის ერთიდაიგივე, როგორც სტადარტულ/ჩვეულებრივ თამბაქოს ნაწარმის, ასევე არასტანდარტულ თამბაქოს ნაწამისათვის.

- არსებობს თამბაქოს ლიდერი მწარმოებლებისა და იმპორტიორების გლობალური ტენდენცია სტანდარტული/ჩვეულებრივი თამბაქოს მომხმარებლებისათვის თამბაქოს ნაკლები გამონაბოლქვის მქონე პროდუქციაზე გადასვლის, რაც მეტყველებს ჩანაცვლებადობის ფაქტორზე.

- თამბაქოს მსხვილ მწარმოებლებს/იმპორტიორებს სერბეთში ექსკლუზიურად ჰყავთ მხოლოდ ერთი დისტრიბუტორი, რაც მიუთითებს ბაზრის სპეციფიკურობას.

რაც შეეხება სხვა მოკვლევებს, სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორია ყოველთვის განისაზღვრებოდა, როგორც შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი.

ბაზრის რაიმე სახის შემდგომი სეგმენტაცია არ განხორციელებულა.

- **ხორვატიის კონკურენციის უწყება**

2011 წელს, ხორვატიის კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მან დაადგინა Adris-ისა და TDR-ის მხრიდან ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. აღნიშნულმა ეკონომიკურმა აგენტებმა შექმნეს სიგარეტების ექსკლუზიური მყიდველების ქსელი ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შეზღუდეს კონკურენტთა წვდომა შესაბამის ბაზარზე. მომხმარებლისთვის წარმოქმნეს ვალდებულება, რომ მათ დროის კონკრეტულ პერიოდში შეეძინათ მათი საჭიროებების მიხედვით სიგარეტი. ამასთანავე, შექმნეს ფასდათმობების (rebates) მექანიზმი, რომლითაც TDR, როგორც, დისტრიბუტორი, ფინანსურად ახალისებდა/აჯილდოვებდა ასეთ შეძენებს.

შესაბამის ბაზრად განისაზღვრა სიგარეტის წარმოების და გასაღების ბაზარი. შესაბამის გეოგრაფიულ ბაზრად ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორია.

ხორვატიული რეგულაციები (გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის) განასხვავებდა სიგარეტს თამბაქოს სხვა პროდუქციისაგან. რეგულაციის მიხედვით თამბაქოს პროდუქციას განეკუთვნებოდა: სიგარეტი, სიგარა, სიგარელა, ჩიბუხის თამბაქო, მოსაწევი თამბაქო, ბურნუთი, დასაღეჭი თამბაქო და სხვა თამბაქოს ნაწარმი. დადგინდა, რომ მომხმარებლები ირჩევდნენ მხოლოდ ერთი სახის თამბაქოს ნაწარმს და განსაკუთრებით იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც პირები ერთდროულად მოიხმარდნენ თამბაქოს რამდენიმე სახეობას - მაგალითად სიგარეტებს და სიგარებს. მოკვლევის ფარგლებში, TDR სიგარეტების მწარმოებელი კომპანია იყო, ხოლო თამბაქოს სხვა ნაწარმს აღნიშნული კომპანია არ აწარმოებდა. აქედან გამომდინარე, ხორვატიის კონკურენციის უწყებამ სიგარეტები ცალკე პროდუქციულ ბაზრად მიიჩნია და გამოყო თამბაქოს სხვა ნაწარმისგან.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო ბაზრის საფასო სეგმენტაცია (მაღალი/პრემიუმი, საშუალო, ფასის შესაბამისი და დაბალი), სააგენტომ შესაბამის პროდუქციულ ბაზრად განსაზღვრა სიგარეტების ბაზარი. აღსანიშნავია, რომ Adris- ის და TDR-ს პროდუქცია მოიცავდა სიგარეტების ყველა საფასო სეგმენტს, ამასთან გამოკვლეულ იქნა, რომ ბაზრის კონკრეტულმა მონაწილეებმა გაზარდეს სიგარეტების გაყიდვები მაღალ საფასო სეგმენტში დაბალი საფასო სეგმენტიდან მომხმარებლების გადაბირების გზით. თუმცა მიუხედავად ამისა, სიგარეტების ბაზარი ცალკე არსებულ სასაქონლო ბაზრად იქნა მიჩნეული.

- **უნგრეთის კონკურენციის უწყება**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთში თამბაქოს ბაზრის მონიტორინგი, ბაზარზე სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, ძირითადად, რეგულირებადი საქმიანობის ზედამხედველობის ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება. უნგრეთში თამბაქოს ბაზარი ოპერირებს სპეციფიკური სტრუქტურის ქვეშ, თამბაქო იყიდება ე.წ. ეროვნული თამბაქოს მაღაზიებში. მაღაზიის გახსნის უფლება შეიძლება მოპოვებულ იქნას სანებართვო (concession) ტენდერის საშუალებით, რომლის შეფასებაც ასევე ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილებაა.

იმის გამო, რომ უნგრეთის თამბაქოს ბაზარი ზედმიწევნით არის რეგულირებადი და დაკვირვებადი, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები მწირია.

უნგრეთის კონკურენციის სააგენტოს არ განუხორციელებია რაიმე მოკვლევა ან გამოძიება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო ბაზრის პროდუქციული საზღვრებისკენ, თუმცა ორგანომ უახლოეს წარსულში განახორციელა მოკვლევა, რომელიც შეიძლება აღნიშული საკითხის განხილვისთვის საინტერესო იყოს. კერძოდ, უნგრეთის კონკურენციის სააგენტომ მოკვლევა დაიწყო e-სიგარეტის (ელექტრონული სიგარეტის) გამყიდველი ორი სლოვაკური კომპანიის მიმართ. მოკვლევამ დაადგინა, რომ კომპანიები თავიანთ ვებ-გვერდზე ახორციელებდნენ ცრუ რეკლამას ამ პროდუქტის უნგრეთში შესალო დისტრიბუციის თაობაზე. მოკვლევის შედეგად აღნიშნული ეკონომიკური აგენტები დაჯარიმდნენ და, პარალელურად, აეკრძალათ ამ ქმედების განხორციელება.

უნგრეთის კონკურენციის სააგენტო აღნიშნავს, რომ თამბაქოს ბაზარი გარკვეულწილად ხასიათდება სეგმენტაციით და, შესაბამისად, ამ ასპექტთან მიმართებაში უნგრეთის ბაზრის სპეციფიკა სეგმენტაციასთან დაკავშირებით თანხვედრაშია ევროკავშირის მიდგომებთან.

- **ბელორუსიის კონკურენციის უწყება**

ბელორუსიის ანტიმონოპოლიური რეგულირების და ვაჭრობის სამინისტრომ 2020 წელს განახორციელა თამბაქოს ბაზრის კონკურენციის მდგომარეობის ანალიზი. ანალიზის შედეგად, სასაქონლო ბაზრის საზღვრად განისაზღვრა ,,თამბაქოს ბაზარი (საბითუმო ვაჭრობა/საბითუმო).“

ბელორუსიის სტატისტიკის კლასიფიკატორის სასაქონლო ნიშანი „თამბაქოს ნაწარმი“ კოდით 46.35.10 მოიცავს: სიგარას, უფილტრო სიგარეტს, სიგარელას რომლებიც შეიცავენ თამბაქოს ან ბლენდირებულ თამბაქოს სუბსტანციასთან ერთად; მოსაწევ თამბაქოს, ჩიბუხის თამბაქოს, შესასუნთქ და საღეჭ თამბაქოს, მოსაწევ მახორკას, ჰომოგენიზებულ ან აღდგენილ თამბაქოს.

ბელორუსიის საგადასახდო კოდექსის მიხედვით ფილტრიანი სიგარეტები 1000 ღერის მიხედვით იყოფიან საცალო საფასო ჯგუფებად. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ბაზრის ანალიზი არ მოიცავდა თამბაქოს საფასო სეგმენტაციას.

- **უკრაინის კონკურენციის უწყება**

გადაწყვეტილება N 551, 2016 წლის 16 დეკემბერი

უკრაინის ანტომონოპოლიურმა კომიტეტმა შეისწავლა „TEDIS UKRAINE“ LLC ქცევა 2013 წლიდან 2015 სექტემბრამდე, რომელსაც ეკავა მონოპოლიური (დომინანტური) მდგომარეობა უკრაინის სიგარეტის სადისტრიბუციო ბაზარზე, (ბაზრის 99,43%), და რომელიც იყო სოლო მყიდველი სიგარეტის მწარმოებლებისაგან და თავად განსაზღვრავდა სიგარეტის შემდგომ მიმოქცევას ქვედა საბითუმო და საცალო ბაზარზე. ამიტომ, მოკვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე ბაზრის პროდუქციული საზღვრის განსაზღვრა ეფუძნებოდა პროდუქტებს შორის კონკურენტული წნეხის შეფასებას, სადაც „TEDIS UKRAINE“ LLC ხასიათდებოდა ერთი (ანალოგიური) პროდუქტით სიგარეტის დისტრიბუციის პერიოდში.

მოკვლევის განხილვის პროცესში თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმის ურთიერთჩანაცვლებადობა იქნა განხილული. კერძოდ, მოსაწევი, შესასუნთქი და საღეჭი თამბაქო.

შეფასების შედეგად, დადგენილ იქნა, რომ მოსაწევი თამბაქო განსხვავდება შესასუნთქი და საღეჭი თამბაქოსაგან, როგორც დანიშნულებით ასევე სამომხმარებლო თვისებებით.

დამატებით, მოკვლევის დროითი შეზღუდულობის გამო, სიგარის და სიგარელის გაყიდვის ქსელი არ გამიჯნულა სიგარეტის გაყიდვების ქსელიდან. თუმცა სიგარა და სიგარელა, როგორც ალტერნატიული თამბაქოს პროდუქტი იყიდება სპეციალურ მაღაზიებში, და გამიზნულია პრემიუმ სეგმენტისათვის.

იმისთვის, რომ განესაზღვრათ შესაბამისი ბაზარი და შეეფასებინათ კომპანიების პოზიცია, უკრაინის კონკურენციის სააგენტოს მიერ გაანალიზებულ იქნა, როგორც მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურა, ასევე საქონლის ბრუნვის პირობები.

ბაზრის ანალიზის საფუძველზე, უკრაინის კონკურენციის სააგენტომ დისტრიბუცია განსაზღვრა სიგარეტის პროდუქციულ ბაზრად.

გადაწყვეტილება N 437-рз, 22.07.2021

საქმე ეხებოდა სადისტრიბუციო და სხვა დაკავშირებულ (კერძოდ, ლოჯისტიკური მომსახურების მიწოდების და უზრუნველყოფის შეთანხმებას) ქმედებებს „Philip Moriss Products S.A.“- ს (შვეიცარია) და KT&G Corporation”- ს (სამხრეთ-კორეა) შორის.

საქმის განხილვისას უკრაინის ანტიმონოპოლიურმა კომიტეტმა განხორციელა ANDS-ის (alternative nicotine delivery systems - ნიკოტინის მიწოდების ალტერნატიული სისტემები) პროდუქტის და ამ პროდუქტის მომხმარებლების შესწავლა. კერძოდ, უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტი ფოკუსირებული იყო HNB (Heat Not Burn გათბობა არა წვა) პრუდუქტზე (ან TPEN ,,თამბაქო ელექტრონული გათბობით“) და E-Vapor (e-სიგარეტი) პროდუქტზე და ჰიბრიდულ პროდუქტზე, რომლებიც განსაზღვრულ იქნა პორტფოლიო პროდუქტებად სადისტრიბუციო შეთანხმებისთვის და სხვა დაკავშირებული შეთანხმებებისთვის.

მოკვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ თამბაქოს ბაზარზე ადგილი აქვს მოსაწევი თამბაქოს ჩანაცვლებას ANDS და სხვა პროდუქციით.

ანალიზის შედეგად, უკრაინის ანტიმონაპოლიურმა კომიტეტმა დაასკვნა, რომ პროდუქცია, რომელიც არის მოსაწევად/ან მატარებელია/შეიცავს თამბაქოს სხვადასხვა საშუალებას, განსხვავდება მომხმარებლის მიკუთვნებით, მახასიათებლებით და მოხმარების პირობებით, ამიტომ ისინი არ განიხილება ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტებად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ის იყოფა სამ ცალკე სასაქონლო ჯგუფად - ბაზრებად, რომლებსაც აქვთ ურთიერთგანსხვავებული მახასიათებლები და მათზე განთავსებული პროდუქტები არ მიიჩნევა ურთიერთჩანაცვლებადად:

1. **თამბაქოს პროდუქტი;**
2. **ANDS (alternative nicotine delivery systems - ნიკოტინის მიწოდების ალტერნატიული სისტემები);**
3. **შესასუნთქი და საღეჭი თამბაქოს პროდუქტი.**

- **სომხეთის კონკურენციის უწყება**

სომხეთის კონკურენციის სააგენტომ 2019 წლის 14 აგვისტოს, თამბაქოს პროდუქციასთან დაკავშირებით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას მიაწოდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები N97-A და N30–A.

N97-A გადაწყვეტილებით თამბაქოს ბაზარი, მათი შემცველები, თამბაქოს ჩამნაცვლებლები და თამბაქოს იმიტაციები განიხილება ერთიან სასაქონლო ბაზრად.

იმავდროულად, კომისიამ გაიზიარა მომხმარებელთა ლოიალურობა სპეციფიკური სახეობის პროდუქტთან მიმართებაში, როდესაც განსაზღვრავდა ბაზარს N97-A გადაწყვეტილებით.

N30–A გადაწყვეტილებით კომისიამ მიიჩნია თამბაქოს შემცველი ელექტრონული პროდუქცია და ნიკოტინის შეცვლელები, როგორც ერთიანი სასაქონლო ბაზარი.

„თამბაქოს პროდუქციის და მათი შემცვლელების მიერ გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების შემცირების და დაცვის“ კანონპროექტზე კომისიამ N30–A გადაწყვეტილების მიღებისას დაადგინა, რომ თამბაქო გათბობით და თამბაქოს პროდუქტის ჩამნაცვლებლები იხილება იგივე სასაქონლო ბაზარზე, ამიტომ თამბაქო გათბობით კლასიფიცირებულ უნდა იქნას როგორც თამბაქოს პროდუქტის ჩამნაცვლებლად.

თამბაქოს ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრისას, N30–A გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სომხეთის კონკურენციის სააგენტომ გაითვალისწინა თამბაქოს პროდუქციის და ინოვაციური პროდუქციის მოხმარების წესი. კერძოდ, მითითებულია, რომ ინოვაციური პროდუქციის შემცველი ნიკოტინი განსხვავდება ტრადიციული თამბაქოსაგან, ვინაიდან ის მოიხმარება აეროზოლის ან ორთქლის ჩასუნთქვით, რომლის ფორმირებაც არ ხდება წვით ან დაშლით, არამედ თამბაქოს მიქსტურის ან ნიკოტინის შემცვლელი სითხის გათბობით, ამიტომ ინოვაციური პროდუქტი თავისი ტექნიკური მახასიათებლებით და თვისებებით არ განიხილება ტრადიციულ თამბაქოდ.

მოკვლევის მიხედვით ინოვაციური პროდუქტები ნიკოტინის შემცველობით ტრადიციული თამბაქოს პროდუქციისგან განსხვავდება ფასით.

ნაწილი 2. ადგილობრივი პრაქტიკა

3.4 . შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საქმე

სააგენტომ 2016 წლის 28 მარტს შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საქმეზე მოკვლევის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება.[19] აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, სააგენტოს წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანა მოიცავდა, ერთი მხრივ თამბაქოს ნაწარმიდან სიგარეტის შესაბამისი ბაზრის გამოყოფის მიზანშეწონილობას, ხოლო მეორე მხრივ სიგარეტის შესაბამისი ბაზრიდან ბრენდის წარმოშობის ადგილის მიხედვით, კერძოდ, ქართული ბრენდის სიგარეტის შესაბამისი ბაზრის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხის გარკვევას.

სააგენტომ გამოიკვლია და შეაფასა საკითხი ერთი მხრივ ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტებისა და მეორე მხრივ თამბაქოს სხვა სახის ნაწარმის ურთიერთჩანაცვლებადობის შესახებ - კერძოდ, ჩიბუხების, სიგარების, სიგარელებისა და აგრეთვე უფილტრო სიგარეტების მიმართ. სააგენტომ გაითვალისწინა, როგორც ფიზიკურ და ტექნიკურ მახასიათებლებში არსებული განსხვავება, აგრეთვე პროდუქციის განსხვავებული ფასებიც. ეს უკანასკნელი გადამწყვეტი კრიტერიუმი იყო ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრების გასამიჯნად - ფილტრიანი სიგარეტის (ერთეულის) ფასი 2.5-ჯერ აღემატებოდა უფილტრო სიგარეტის ანალოგიურ მონაცემს.

სააგენტომ გაიზიარა ევროკომისიის პოზიცია სიგარეტების ერთიან პროდუქციულ ბაზრად განხილვის თაობაზე, ვინაიდან ქართულ ბაზარზე ამერიკულთან შედარებით გაცილებით დაბალი აქციზური განაკვეთის გამო, სიგარეტის ფასებს შორის მკვეთი განსხვავება არ არსებობს. შესაბამისი პროდუქციული საზღვრების დადგენის მიზნით, სააგენტომ მომხმარებლების გამოკითხვის მეთოდოლოგია გამოიყენა, რომლის მეშვეობით დაადგინა, რომ ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი არ ქმნის ცალკე ბაზარს და შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა ფილტრიანი სიგარეტების ბაზარი.

[19] ,,შპს დუთი ფრი ჯორჯიას საქმე“, ბრძანება №43, თარიღი: 28.03.2016, განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.gnca.gov.ge.

მოცემული საქმის ფარგლებში შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად სააგენტომ მიიჩნია არა მთელი ქვეყნის, არამედ მომჩივანის ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორია, კერძოდ საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე არსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტები. აღნიშნული ბაზარი წარმოადგენს იზოლირებულ ბაზარს, რომელსაც გააჩნია შესვლის მაღალი ბარიერები, რაც განაპირობებს მის ცალკე გეოგრაფიულ ბაზრად ჩამოყალიბებას. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენას საფუძვლად დაედო ზემოთ აღნიშნულ გეოგრაფიულ საზღვრებში მყოფი მომხმარებლების გამოკითხვა.

ფილტრიანი სიგარეტის ბაზარი არ წარმოადგენდა სეზონურ ბაზარს, ფუნქციონირებდა მთელი წლის განმავლობაში და შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნდა რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

3.5. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგი

სააგენტომ 2020 წლის 19 მარტს განახორციელა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში მომზადებული ანგარიშის მიხედვით, დგინდება, რომ სააგენტომ მონიტორინგის მიზნებისთვის, რომელიც ბაზრის ფუნქციონირების ზოგად ანალიზსა და კონკურენტული გარემოს შეფასებას გულისხმობს, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ერთიან ბაზრად მიიჩნია.[20]

განსახილველი პროდუქტების თვისობრივი მახასიათებლების ნაწილში, სააგენტომ დაადგინა, რომ მათ შორის არ არსებობს განსხვავება რიგი კომპონენტების მიხედვით. კერძოდ, მოხმარების მიზანი (ფუნქცია), ზომა, წონა, ვიზუალი, ტრანსპორტირების, შენახვის, შეძენის, ლოგისტიკური წესები ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების შემთხვევაში იდენტურია, ხოლო ფილტრი არ ცვლის მოხმარების მიზნობრიობას, შეძენის წესს, ლოგისტიკურ პროცედურებს, ზომას, წონას თუ სხვა (მხოლოდ შეფუთვა შეიძლება იყოს მცირედით განსხვავებული). აღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს იმას, რომ სამომავლოდ კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში სააგენტომ განახორციელოს ბაზრის უფრო ვიწროდ განსაზღვრა, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში ბაზრის ვიწრო სეგმენტაციის აუცილებლობა არ დამდგარა.

მონიტორინგის ფარგლებში ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებად განისაზღვრა ქვეყნის მთელი ტერიტორია - ეროვნული დონე შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით: რეგულაციების გავრცელება ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე,

[20] ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, თარიღი: 19.03.2020 განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.gnca.gov.ge.

თამბაქოს ნაწარმზე ფასწარმოქმნის ერთგვაროვნება, ქვეყნის სრული ტერიტორია მარაგდებოდა ერთიდაიგივე მწარმოებლების/იმპორტიორების სიგარეტებით და სრულ ტერიტორიაზე დაკმაყოფილებული იყო მათი ხელმისაწვდომობა, გარდა ამისა მონიტორინგის მიზნებისთვის შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების ვიწროდ დაყოფა ზოგადად არ არის მიზანშეწონილი.

ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარი არ წარმოადგენდა სეზონურ ბაზარს, ფუნქციონირებდა მთელი წლის განმავლობაში და შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნდა რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

თავი IV. შესაბამისი ბაზრის საზღვრები

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, ან საქართველოს მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან, ან მის ნაწილთან ერთად. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

4.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დასადგენად მოკვლევის ჯგუფმა გაითვალისწინა რამდენიმე რელევანტური ფაქტორი:

1. **ქარხნული წარმოების სიგარეტების თამბაქოს სხვა ნაწარმისგან ცალკე გამოყოფის საკითხი** - მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფმა გაითვალისწინა როგორც საუკეთესო ევროპული პრაქტიკა ქარხნული წარმოების სიგარეტის ცალკე

ბაზრად გამოყოფის შესახებ, ასევე სააგენტოს მიერ დადგენილი ანალოგიური პრაქტიკა შპს ,,დუთი ფრი ჯორჯიას საქმეზე". შესაბამისად, ქარხნული წარმოების სიგარეტები - ფილტრიანი და უფილტრო გაიმიჯნა თამბაქოს სხვა ნაწარმისგან, მაგალითად, ჩიბუხი, სიგარა, სიგარელა, ფოთლოვანი თამბაქო, საღეჭი თამბაქო, ე.წ. IQOS სიგარეტები და სხვა.

2. **ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ურთიერთჩანაცვლებადობის საკითხი** - აღნიშნული მიმართულებით მოკვლევის ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2021-2022 წლების განმავლობაში უფილტრო სიგარეტების როგორც ადგილობრივი წარმოება, ასევე იმპორტი იმდენად უმნიშვნელო და მცირე იყო, რომ განსახილველი პროდუქტების სხვადასხვა ბაზრად მიჩნევის შემთხევაშიც, შესაბამისი ბაზრის სუბიექტების როგორც რაოდენობა, ასევე წილობრივი გადანაწილება არსებითად უმნიშვნელოდ იქნებოდა შეცვლილი და საქმის საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამის გათვალისწინებით, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ურთიერთჩანაცვლებადობის საკითხი მოკვლევის ჯგუფმა გადაწყვეტის გარეშე დატოვა და ერთიან ბაზრად განიხილა.

3. **შესაბამისი ბაზრის საფასო სეგმენტაციის საკითხი** - მოკვლევის ფარგლებში მოკვლევის ჯგუფი დაუკავშირდა თამბაქოს ინდუსტრიის მკვლევარ კომპანიას შპს „გამმას" (ს/ნ 205054536), რომელმაც სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის, ფასების მიხედვით სხვადასხვა სეგმენტებად დაყოფის შესახებ - დაბალი, საშუალო, მაღალი და პრემიუმი.[21] მოკვლევის ჯგუფი მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით განიხილავდა საკითხს შესაბამისი ბაზრის საფასო სეგმენტაციის დაყოფის შესახებ. მსგავს შემთხვევებში არსებული ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც ამავე დოკუმენტში არის წარმოდგენილი, მოკვლევის ჯგუფმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია შესაბამისი ბაზრის შემდგომი ვიწრო სეგმენტაცია, მათ შორის არც პროდუქტების ფასების მიხედვით.

4. **საბითუმო დონის განსაზღვრის საკითხი** - მოკვლევის ჯგუფის მიერ მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებებისა და თამბაქოს ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით გამოიკვეთა 4 დონე: 1. იმპორტის დონე; 2. საბითუმო დონე; 3. სადისტრიბუციო დონე და 4. საცალო დონე. მოკვლევის ფარგლებში აუცილებელი იყო იმ დონის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც უნდა შეფასებულიყო მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლება.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის მიზნით მოკვლევის ჯგუფმა გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები:

[21] სააგენტოში შემოსული წერილი (თარიღი: 06.04.2023; რეგ: N 01/1159).

1. **ზოგადად მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ოპერირების არეალი:** შპს ,,ფილიპ მორის საქართველო“, შპს ,,ელიზი ჯგუფი“, სს ,,თ და რ დისტრიბუშენი“ ოპერირებენ თამბაქოს ბაზრის იმპორტის და საბითუმო დონეებზე, ხოლო შპს ,,ჯიდიაი“ ოპერირებს სადისტრიბუციო დონეზე.

2. **სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების არეალი:** მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან (გარდა შპს ,,ჯიდიაისა“, რომელიც ქვედა დონეზე ოპერირებს), სავარაუდო მტაცებლური ფასის დაწესებასა და კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმების მიღწევას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა საბითუმო დონეზე, რადგან აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს იმპორტირებული პროდუქტის გადაყიდვა და შემოსავლების მიღება მხოლოდ საბითუმო დონეზე შეუძლიათ - სადისტრიბუციო კომპანიაზე ან საცალო მაღაზიაზე გადაყიდვის გზით.

3. **შემოსავლების (იგივე ბრუნვის) მიღების წყარო** - როგორც წინა პუნქტის განხილვისას აღინიშნა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ერთადერთი შემოსავლის წყარო არის საბითუმო დონე (გარდა შპს ,,ჯიდიაისა“, რომელიც ქვედა დონეზე ოპერირებს). მოკვლევის ფარგლებში თითოეულ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით დადგინდა, რომ მათი ბრუნვები არ მოიცავდა საცალო მაღაზიებიდან პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, არამედ იმპორტირებული პროდუქტის მხოლოდ უშუალოდ სადისტრიბუციო კომპანიაზე ან საცალო მაღაზიაზე გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლები განეკუთვნებოდა მათ ბრუნვას 2021-2022 წლების განმავლობაში.

მოკვლევის ჯგუფის მიერ განიხილებოდა საკითხი თუ რომელი დონე უნდა მიჩნეულიყო შესაბამისი ბაზრის დონედ მე-6 მუხლის მიზნებისთვის - იმპორტის თუ საბითუმო. თამბაქოს ბაზრის იმპორტის დონესთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დონე იძლევა ეკონომიკური აგენტის სფეროში ეკონომიკური რესურსის გენერირების/აკუმულირების საშუალებას, რომელიც ეკონომიკურ აგენტს შეუძლია შემდგომში, ვაჭრობისთვის და მოგების მისაღებად გამოიყენოს. შესაბამისად, ის გარემოება, თუ რომელ ეკონომიკურ აგენტს რა მოცულობის სარეალიზაციო რესურსზე მოუწვდებოდა ხელი 2021-2022 წლების განმავლობაში, შესაძლოა გამხდარიყო საფუძველი თამბაქოს ბაზრის იმპორტის დონის რელევანტურ დონედ მიჩნევისათვის. თუმცა მეორე მხრივ, საბითუმო დონე გვაწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია უშუალოდ გაყიდვების მოცულობა. მაგალითისთვის, 2022 წელს კომპანია A-მ განახორციელა 5 000 000 ლარის ღირებულების მქონე სიგარეტის კოლოფების იმპორტი, თუმცა სადისტრიბუციო კომპანიაზე ან საცალო მაღაზიაზე ამავე პერიოდში გადაყიდა 4 000 000 ლარის ღირებულების კოლოფები. კომპანია B-მ იმავე პერიოდში ასევე განახორციელა იდენტური ღირებულების ანუ 5 000 000 ლარის

მქონე კოლოფების იმპორტი, თუმცა მან განსხვავებით კომპანია A-სგან მოახდინა იმპორტირებული ღირებულების სრული რეალიზაცია. შესაბამისად, 2022 წლის მდგომარეობით კომპანია B-ს ბრუნვა 1 000 000 ლარით აღემატებოდა კომპანია A-ს შესაბამის ბრუნვას. ამ მაგალითის გათვალისწინებით, მოკვლევის ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ადგილზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულება უფრო ზუსტ მონაცემად ჩაეთვალა ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების დასადგენად და დომინანტური მდგომარეობის შესაფასებლად, ვიდრე მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებაა.

ანალოგიური მიდგომა უნდა გავრცელებულიყო შპს ,,ჯიდიაის“ დომინანტური მდგომარეობის შეფასების კუთხით ანუ მისი საბაზრო ძალაუფლების ინდიკატორი უნდა ყოფილიყო არა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსგან“ შემენილი პროდუქციის ღირებულება შესაბამის პერიოდში, არამედ საცალო მაღაზიებზე გადაყიდული და ამ გადაყიდვის შედეგად მიღებული ჯამური, წლიური შემოსავალი (ბრუნვა).

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევის ჯგუფი დაეყრდნო თამბაქოს ბაზრის საბითუმო დონეზე არსებულ მონაცემებს, საერთო სურათის გასარკვევად, მის მიერ გამოკვლეული იყო ასევე თამბაქოს ბაზრის იმპორტის დონეც - 2021-2022 წლების მიხედვით შესაბამისი სუბიექტების საბაზრო წილების გამოანგარიშებისა და განსაზღვრის კუთხით.

4.2 შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. იმის გათვალისწინებით, რომ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებით ვაჭრობა გავრცელებულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მოკვლევა არ შეეხებოდა საქართველოს აეროპორტებში განთავსებულ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებს ე.წ. ,,დუთი ფრის“, შესაბამისი ბაზრის **გეოგრაფიულ საზღვრად მოკვლევის ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია,** თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების გამორიცხვით.

4.3 შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების

საბითუმო ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია რაიმე დროითი ჩარჩო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის საზღვრები მოკვლევის ეტაპზე დადგენილი იყო მე-6 მუხლის მიზნებისთვის, თუმცა მე-7 მუხლის მიზნებისთვისაც შესაძლებელი იყო შესაბამისი ბაზრის ცალკე, განსხვავებული ან იგივე საზღვრების დადგენა.

4.4 შესაბამისი ბაზრის სუბიექტების იდენტიფიცირება

საქმის მოკვლევის ფარგლებში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან გამოთხოვილ იქნა (რეგ: N 02/660; თარიღი: 09.03.2023) ინფორმაცია 2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ადგილობრივი მწარმოებლების შესახებ (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია, საქმიანობის სფერო).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, (რეგ: N 01/853; თარიღი: 14.03.2023), 2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე თამბაქოს ნაწარმის წარმოებით დაკავებული ადგილობრივი მწარმოებლების რაოდენობა შეადგენს 19 სუბიექტს.

იმის გათვალისწინებით, რომ თამბაქოს ნაწარმის წარმოება მოიცავს არა მხოლოდ ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების წარმოებას, არამედ მაგალითად, სიგარების, სიგარელების, საღეჭი თამბაქოს თუ სხვა მსგავსი ტიპის თამბაქოს ნაწარმის დამზადებასაც, წარმოიშვა აუცილებლობა იმისა, რომ მომხდარიყო დაზუსტება, თუ კონკრეტულად რომელი სუბიექტები აწარმოებდნენ უშუალოდ ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებს.

ხსენებული მიზნით, მოკვლევის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა ინფორმაციის დაზუსტება სამი მიმართულებით: 1. საქმეში არსებული მასალების მიხედვით; 2. შემოსავლების ერთიან ელექტრონულ ბაზაში ატვირთული საბაჟო დეკლარაციების მიხედვით; 3. თითოეულ სუბიექტთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარებით/მიმოწერით.

აღნიშნული ინფორმაციის/კომუნიკაციის შედეგად დადგინდა შემდეგი მოცემულობა:

- **საქმის მასალების მიხედვით** -

1. სს ,,თბილისის თამბაქო“ - მომჩივანია და მას აქვს წარმოდგენილი მის მიერ წარმოებული სიგარეტების შესახებ ინფორმაცია (რეგ: N 01/334; თარიღი: 30.01.2023);

2. შპს ,,კახაძე თამბაქო კომპანი“ - სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანია არ ეწევა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების წარმოებას (რეგ: N 01/234; თარიღი: 23.02.2023);

3. ი/მ თორნიკე ბეროშვილი - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ლიკვიდირებულია 2022 წლის 24 იანვრიდან

- **შემოსავლების ერთიან ელექტრონულ ბაზაში ატვირთული საბაჟო დეკლარაციების მიხედვით თამბაქოს ნაწარმის დოკუმენტური რეალიზაცია არ უდასტურდებათ:**

[redacted]

- **სატელეფონო კომუნიკაციის/ელექტრონული მიმოწერის მიხედვით დადგინდა იმ სუბიექტების სია, რომელთაგან შეიძლება გამოიკვეთოს ორი კატეგორია:**

1. განსაზღვრული პერიოდიდან (2018-2019 წლები) კომპანიები უმოქმედოა და საერთოდ არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ან არ ეწევიან უშუალოდ ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების წარმოებას -

1.1 შპს ,,იმერი“;
1.2 შპს ,,პოსეიდონი“;
1.3 შპს ,,ტობაქო ენტერფრაიზი“;
1.4 შპს ,,მარტინ ლუთერი“;
1.5 შპს ,,ქართული თამბაქოს წარმოება“;
1.6 შპს ,,ტარე“;
1.7 შპს ,,დერმეკსი“;
1.8 შპს ,,ოჯთ“.

2. კომპანიები, რომლებიც ეწევიან ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების წარმოებას: -

1. შპს ,,თერაზი“ - კომპანია აწარმოებს უფილტრო სიგარეტს სახელწოდებით საკურორტო.
2. შპს ,,არგო ბტ“ - კომპანია აწარმოებს ფილტრიან სიგარეტს სახელწოდებით Seven (შვიდი).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის მდგომარეობით შესაბამისი ბაზრის სუბიექტებად განისაზღვრნენ:

ცხრილი N 1

1. შპს ფილიპ მორის საქართველო
2. შპს ელიზი ჯგუფი
3. სს თ & რ დისტრიბუშენ
4. შპს ინტერნეიშნლ მარკეტინგ ენდ თრეიდინგ
5. სს თბილისის თამბაქო
6. შპს პ და ლ
7. შპს ბჯ ტობაკო
8. შპს დერმექსი
9. შპს თერაზი
10. შპს ბ და ჯ

4.5 შესაბამისი ბაზრის სუბიექტების საბაზრო წილები, მათი გამოანგარიშების მეთოდები, HHI ინდექსი და მოკვლევის პერიოდი

მოკვლევის ჯგუფის მიერ გამოკვლეულ და დადგენილ იქნა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის საბითუმო დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების გაყიდვების თანხობრივი მოცულობის (1), გაყიდვების რაოდენობრივი მოცულობის (2), საბაზრო წილების (3), აგრეთვე HHI ინდექსის (4) მონაცემები 2021-2022 წლების პერიოდის მიხედვით. კერძოდ, 2022 წლის (ე.ი. მოკვლევისათვის განსახილველი პერიოდის შესაბამისად) შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ საბაზრო წილი შეადგენს [redacted] ხოლო შპს ,,ელიზი ჯგუფი“ [redacted] არის წარმოდგენილი. რაც შეეხება სს ,,თ და რ დისტრიბუშენის“ საბაზრო წილს - აღნიშნული მონაცემი 2022 წელს შეადგენდა [redacted].

გასათვალისწინებელია, რომ 2022 წელს საბითუმო ბაზრის კონცენტრაციის დონე HHI ინდექსის მიხედვით 2312 ერთეულს შეადგენდა, რაც ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მაღალკონცენტრირებულად ითვლება. მოცემულ შემთხვევაში მოკვლევის ჯგუფის წინაშე დადგა შემდეგი ამოცანა - განესაზღვრათ ის სხვა სახის მტკიცებულებები

(საბაზრო წილის მიუხედავად), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა შეფასებულიყო შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ სავარაუდო დომინანტური მდგომარეობა. აღნიშნულის პარალელურად მოკვლევის ჯგუფი არ დაეყრდნო მხოლოდ მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეს, არამედ აღნიშნული კომპონენტი გადამოწმდა სსიპ შემოსავლების სამსახურისგან 2022 წლის განმავლობაში შესაბამისი სასაქონლო ზედნებების გამოთხოვისა და დამუშავების შედეგად. კერძოდ, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია შესაბამისი ბაზრის სუბიექტების სასაქონლო ზედნადებების შესახებ შემოსავლების სამსახურისგან, რომლის საფუძველზეც დამატებით დამუშავდა მონაცემები მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების თაობაზე.

მოკვლევის ჯგუფის მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული სასაქონლო ზედნადებების დამუშავების შედეგად, დამატებით დადგენილ იქნა ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზრის საბითუმო დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების გაყიდვების თანხობრივი მოცულობის (1), საბაზრო წილების (2), აგრეთვე ბაზრის კონცენტრაციის დონის (HHI ინდექსის მიხედვით) (3) მონაცემები 2021-2022 წლების პერიოდის მიხედვით. კერძოდ, 2022 წლის (ე.ი. მოკვლევისათვის განსახილველი პერიოდის შესაბამისად) შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ საბაზრო წილი შეადგენდა [redacted], რომელსაც მოსდევდა შპს ,,ელიზი ჯგუფი“ [redacted] რაც შეეხება სს ,,თ და რ დისტრიბუშენის“ საბაზრო წილს - აღნიშნული მონაცემი 2022 წელს შეადგენდა [redacted] მონაცემების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“, შპს ,,ელიზი ჯგუფის“ და სს ,,თ და რ დისტრიბუშენის“ საბაზრო წილები უცვლელია, მათ შორის სს ,,თ და რ დისტრიბუშენის“ საბაზრო წილი [redacted] შეადგენს. მოკვლევის ჯგუფის მიერ ჩატარებულ კალკულაციებს შორის განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ 0.1-0.2 პროცენტულ განაწილებაში, რაც დამრგვალების წესის გათვალისწინებით საბოლოო სხვაობას არ განაპირობებს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიების მიერ მოწოდებული 2022 წლის ბრუნვების თაობაზე მონაცემები შეესაბამება სსიპ შემოსავლების სამსახურში შენახულ ანალოგიურ ინფორმაციას, რამაც მოკვლევის ჯგუფს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ შესაბამისი ბაზრის სუბიექტების წილები საბოლოოდ დადგენილად მიეჩნია.

გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი ბაზრის სუბიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად დადგინდა - 2022 წელს საბითუმო ბაზრის კონცენტრაციის დონე HHI ინდექსის მიხედვით 2312.63 ერთეულს შეადგენდა, რაც ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მაღალკონცენტრირებულად ითვლება. ანალოგიური

მონაცემი სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეადგენს 2293.96 ერთეულს. მოცემულ შემთხვევაშიც, გამოანგარიშებული HHI ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია, ხოლო ინდექსებს შორის სხვაობა არსებითად უმნიშვნელოა და მხოლოდ 20 ერთეულს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ჯგუფმა შესაბამის ბაზარზე მაღალი კონცენტრაციის დონე დაადგინა.

დიაგრამა N 1

[redacted]

დიაგრამა N 2

[redacted]

ცხრილი N 2

[redacted]

რაც შეეხება **საბაზრო წილების გამოანგარიშების მეთოდს** - მოკვლევის ჯგუფმა გამოიყენა სააგენტოს მიერ აპრობირებული ეკონომიკური მეთოდები, რაც გულისხმობს საბაზრო წილების როგორც ღირებულებით, ასევე რაოდენობრივ ანალიზს. ღირებულებითი მეთოდის გზით საბაზრო წილების გამოანგარიშება მოკვლევის ჯგუფის პოზიციით უფრო გამართლებულია. კერძოდ, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარზე ერთი სუბიექტის მიერ წარმოებული/იმპორტირებული და რეალიზებული ერთი კოლოფის ღირებულება შესაძლოა უტოლდებოდეს სხვა სუბიექტის მიერ წარმოებული/იმპორტირებული და რეალიზებული ორი ან მეტი კოლოფის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ფარგლებში, ღირებულებითი მეთოდი იძლევა უფრო ზუსტ სურათს ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლების შესახებ, ვიდრე რაოდენობრივი.

მოკვლევის პერიოდის განსაზღვრის მიმართულებით - იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ადგილი ჰქონდა 2022 წლის დეკემბრის თვეში, მოკვლევის ჯგუფის პოზიციით მოკვლევის პერიოდად განისაზღვრა 2022 წელი და ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები უპირატესად შეფასდა აღნიშნულ წელთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, 2021 წელთან მიმართებით, საერთო სურათის გასარკვევად,

მოკვლევის ჯგუფმა საბაზრო წილები დამატებით გამოიანგარიშა მხარეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

4.6 განსახილველი პროდუქტების თვითღირებულება

მოკვლევის ჯგუფის მიერ შეგროვდა და დაანგარიშდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების, სომხეთის ტერიტორიიდან ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტების იმპორტიორი კომპანიებისა და მომჩივანის პროდუქტის თვითღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები (საბაჟო ღირებულება ლარებსა და დოლარებში, ექსპორტიორი ქვეყანა, განხორციელებული იმპორტის რაოდენობა, თვითღირებულება გადასახადების ჩათვლით). კერძოდ, აღნიშნული მონაცემები დამუშავებულია 2022 წლის პერიოდზე, ხოლო Camel 1913 Original Yellow-ს (Blue) შემთხვევაში 2023 წელზე.

აღნიშნული მონაცემების ურთიერთშედარების შედეგად დგინდება, რომ მომჩივანი აწარმოებს [redacted] და [redacted] - სულ მცირე ასეთი სხვაობა შეადგენს [redacted].

რაც შეეხება იმპორტის ფარგლებში არსებული სიგარეტების თვითღირებულებას, ამ მხრივ თვალსაჩინოა, რომ განსახილველი 5 იმპორტიორი კომპანიისგან, შპს ,,ელიზი ჯგუფის“ მიერ იმპორტირებული სიგარეტების [redacted] კერძოდ, Camel Original Yellow-ს შემთხვევაში სიგარეტის თვითღირებულება შეადგენს [redacted] ხოლო Camel 1913 Original Yellow-ს შემთხვევაში [redacted] აღნიშნულის საპირისპიროდ, დანარჩენი იმპორტიორი კომპანიების მიერ იმპორტირებული სიგარეტების საბაჟო ღირებულება მერყეობს [redacted] [redacted]

მოცემულ ნაწილში მოკვლევის ჯგუფმა დაადგინა თუ რომელია ის კონკრეტული სახეობა, რომლითაც მომჩივანის მიერ წარმოებული და ბაზრისთვის მიწოდებული სიგარეტი უშუალოდ განიცდის კონკურენციას. ამ მიზნით სააგენტოს მიერ გაგზავნილ იქნა დამაზუსტებელი წერილი (თარიღი: 18.05.2023; რეგ: N 02/1314) შპს ,,გამმასთან“ (ს/ნ 205054536). აღნიშნული წერილის საპასუხოდ შპს ,,გამმამ“ დააზუსტა (თარიღი: 31.05.2023; რეგ: N 01/1813) ზემოთხსენებული სიგარეტის სახეობების საცალო ფასები, რომლის მიხედვით Camel 1913 Original Yellow (Blue) განეკუთვნება დაბალ საფასო სეგმენტს, თუმცა ინფორმაციის საბოლოოდ დადასტურების მიზნით დამატებით წერილი გაიგზავნა შპს ,,ელიზი ჯგუფთანაც“ (თარიღი: 05.06.2023; რეგ: N 02/1467), რომელმაც საბოლოოდ დააზუსტა განსახილველი საკითხი (თარიღი: 09.06.2023; რეგ: N 01/1923) და დადგინდა, რომ დაბალი სეგმენტს განეკუთვნება შემდეგი ნაირსახეობა Camel 1913 Original Yellow (Blue).

იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი განსახილველი კომპანიის ფარგლებში განხორციელებული იმპორტის რაოდენობა რამდენიმეჯერ ფიქსირდება, მოკვლევის ჯგუფმა შემდგომი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრა სიგარეტის თითოეული სახეობის ერთეულ კოლოფზე ამ უკანასკნელის თვითღირებულება - კერძოდ, ურთიერთგანსხვავებული საბაჟო ღირებულების შემთხვევაში მოკვლევის ჯგუფმა იხელმძღვანელა საშუალო არითმეტიკული მონაცემით, ხოლო მუდმივად გამეორებული (ერთიდაიგივე) საბაჟო ღირებულების შემთხვევაში, ამავე მონაცემით.

გადასახადების ჩათვლით საქონლის თვითღირებულების გამოანგარიშებისას მოკვლევის ჯგუფის მიერ უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული იყო ექსპორტიორი ქვეყნების მნიშვნელობა, რადგანაც ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს იმპორტით დაბეგვრის რეჟიმზე. ამასთან ერთად, გადასახადების გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია აქციზის სრული განაკვეთი (ფიქსირებული აქციზი + ადვალური გადასახადი), აგრეთვე დღგ. შესაბამისად, საბოლოო თვითღირებულება წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით.

კანონის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, მოკვლევის ჯგუფმა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსთან“ და შპს ,,ელიზი ჯგუფთან“ მიმართებით გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებების პროდუქტის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად სავარაუდო ვაჭრობის შესახებ. კერძოდ, **შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსთან“** მიმართებით, მოკვლევის ჯგუფის პოზიციით შემდეგი გარემოებები გამოიკვეთა:

- შპს ,,ფილიპ მორის საქართველომ“ ფილტრიანი სიგარეტის - L&M First Cut Red-ის იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე პირველად განახორციელა [redacted].
- აღნიშნული პარტიის ფარგლებში ერთი კოლოფის საინვოისო ღირებულება შეადგენდა [redacted], ხოლო საბაჟო ღირებულება [redacted] თავის მხრივ საბაჟო ღირებულება შეადგენდა საინვოისო ღირებულებისა და სხვა ხარჯების ჯამს (ჯამურად: საინვოისო ღირებულება - [redacted] + სხვა ხარჯები - [redacted]), ხოლო სხვა ხარჯები ერთ კოლოფზე გაანგარიშებით შეადგენდა [redacted]

- შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ მიერ შპს ,,ჯიდიაისთან“ დადებული დისტრიბუციის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით ფიქსირდება L&M First Cut Red-ის პირველი გადაყიდვის ჯამური ღირებულება [redacted] ფიქსირდება, რაც ერთ კოლოფზე გაანგარიშებით შეადგენდა [redacted]

- შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ მიერ შპს ,,ჯიდიაისთვის“ L&M First Cut Red-ის ერთი კოლოფის გადაყიდვის ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენდა [redacted]

- აქციზით დაბეგვრის ნაწილში ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აქციზური გადასახადის გამოანგარიშების მიზნით უნდა დაჯამდეს ფიქსირებული და ადვალური გადასახადები. შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადი ერთ

კოლოფზე გაანგარიშებით შეადგენს 1.7 ლარს, ხოლო ადვალური გადასახადი L&M First Cut Red (ასევე Blue)-ის ნაწილში გამოიანგარიშებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით თამბაქოს პროდუქტზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით დადგენილია, რომ შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს" მიერ იმპორტირებული L&M First Cut Red (ასევე Blue)-ის ერთ კოლოფზე გაცხადებული სარეალიზაციო ფასი შეადგენდა [redacted] შესაბამისად, ადვალური გადასახადის 30 პროცენტიანი განაკვეთი სააგენტოს მიერ გამოიანგარიშება აღნიშნული თანხიდან. აქედან გამომდინარე, აქციზური გადასახადის ჯამური ღირებულება 2022 წლისათვის შეადგენდა [redacted]. შესაბამისად, დღგ-ს გარეშე არსებულ თანხას გამოკლებული აქციზური გადასახადის ჯამური ოდენობა შეადგენს [redacted]

- თურქეთის ტერიტორიიდან საქართველოში ფილტრიანი სიგარეტის იმპორტი არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახადით დაბეგვრისგან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ იმპორტის გადასახადი დარიცხულია საბაჟო ღირებულებისთვის ანუ [redacted] და არა საინვოისო ღირებულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე იმპორტის გადასახადი შეადგენდა [redacted] შესაბამისად, იმპორტის გადასახადის გამოკლების შემდეგ, არსებული თანხა შეადგენს [redacted]

- მოკვლევის ჯგუფი ითვალისწინებს შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს" მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ერთ კოლოფზე გაანგარიშებით აქციზური მარკის ნომინალის ღირებულებისა და საბაჟო საწყობში შენახვის ხარჯის თაობაზე. შესაბამისად, [redacted] აკლდება აღნიშნული მონაცემების ჯამი, რაც შეადგენს [redacted]

- კალკულაციის ბოლო ეტაპზე, ზემოთ აღნიშნულ თანხას უნდა გამოაკლდეს საბაჟო ღირებულება, რაც შეადგენს [redacted]

აღნიშნული გარემოებების დაზუსტების მიზნით მოკვლევის ჯგუფმა მიმართა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს", რომელმაც არსებითად გაიზიარა მოკვლევის ჯგუფის პოზიცია და ამასთან ერთად, მოკვლევის ჯგუფის შეკითხვასთან დაკავშირებით (გთხოვთ, დაგვიზუსტოთ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარაციებაში ნახსენები ,,სხვა ხარჯების" წარმომავლობა, რომელიც როგორც L&M First Cut Red (Blue)-ის ერთ კოლოფზე გაანგარიშებით თავდაპირველი პარტიის ფარგლებში [redacted] შეადგენდა, თუმცა შემდგომში ეს ხარჯი იცვლებოდა) დააზუსტა, რომ სხვა ხარჯებში მოიაზრება აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება, რომელიც დროთა განმავლობაში ცვალებადი სიდიდეა და იცვლება პროდუქციის შესასყიდი ფასისა და გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ჯგუფმა დაადგინა, რომ თვითღირებულებაზე დაბალ ფასად ვაჭრობას ადგილი ვერ ექნებოდა შპს ,,ფილიპ მორის საქართველოს“ მიერ L&M First Cut Red (Blue)-ს ე.წ. პრობლემური ნაირსახეობის მიმართულებით.

შპს ,,ელიზი ჯგუფთან“ მიმართებით, მოკვლევის ჯგუფის პოზიციით შემდეგი გარემოებები გამოიკვეთა:

- სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციების შესაბამისად (თარიღი: 24.03.2023; რეგ: N 01/978), ფილტრიანი სიგარეტის - Camel Original Yellow-ს ბოლო პარტიის იმპორტის რეგისტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა [redacted] მითითებული თარიღის შემდგომ შეჩერდა აღნიშნული სახეობის იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე. შპს ,,ელიზი ჯგუფის“ მიერ გამოწერილი ზედნადებების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 16.02.2023; რეგ: N 01/584) ფილტრიანი სიგარეტის - Camel Original Yellow-ს ერთი ბლოკის ღირებულება 2022 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით შეადგენდა [redacted] ხოლო მომდევნო თარიღიდან - 22 დეკემბრიდან, ერთი ბლოკის ღირებულება შეადგენდა [redacted]

- კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (თარიღი: 09.06.2023; რეგ: N 01/1923), ფილტრიანი სიგარეტის - Camel Original Yellow-ს საცალო გაყიდვები ფიქსირდება 2023 წლის იანვრის თვის ჩათვლით. შესაბამისად, საცალო ქსელში აღნიშნული სიგარეტის გაყიდვის ფასი 2023 წლის იანვრის თვის განმავლობაში შეადგენდა 5.00 ლარს, ხოლო მომდევნო თვეებში საცალო ქსელში აღნიშნული სიგარეტი აღარ იყიდებოდა.

შესაბამისად მოკვლევის ჯგუფი დაინტერესედა რიგი საკითხებით, მათ შორის კომპანიის მიერ შესაბამისი მარჟით ოპერირების მიმართულებითაც. აღნიშნული გარემოების დაზუსტების მიზნით მოკვლევის ჯგუფმა მიმართა შპს ,,ელიზი ჯგუფს“, რომელმაც დაადასტურა, რომ Camel Original Yellow (Blue)-თან დაკავშირებით 2022 წლის ბოლო პერიოდში აღარ სურდა ამავე ნაირსახეობით ვაჭრობა. შესაბამისად, შპს ,,ელიზი ჯგუფის“ პოზიცია გამოსაკვლევი სიგარეტის ნაირსახეობის მიმართულებით, სრულად იქნა გაზიარებული სააგენტოს მიერ.

თავი V. საქმის მოკვლევის შეწყვეტის დასაბუთება

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად, მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა განცხადება

(თარიღი: 16.09.2023; რეგ: N 01/3129), სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დღიდან განცხადების წარმოდგენის დღისათვის ბაზარზე, მათი დაკვირვებით კონკურენტული გარემო გაუმჯობესდა. შესაბამისად, მომჩივანი აღარ არის დაინტერესებული საქმის მოკვლევის გაგრძელებით და ის სარგებლობს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით უარი განაცხადოს საჩივარზე.

კერძოდ, ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის მოკვლევის დაწყების შემდეგ მომჩივანმა უარი განაცხადა საჩივარზე, საქმის მოკვლევა წყდება, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო არ არის უფლებამოსილი მხოლოდ და მარტოოდენ მომჩივანის განცხადების საფუძველზე შეწყვიტოს მიმდინარე საქმის მოკვლევა, არამედ ასეთ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია შეაფასოს ის გარემოება თუ რამდენად არსებობს მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მოკვლევა მიმდინარეობდა ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული დასაბუთებული მტკიცებულების არსებობის საკითხი უნდა შეფასდეს ორივე მუხლთან მიმართებით ცალ-ცალკე.

- **,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით**

ინდივიდუალური დომინანტობის მიმართულებით - ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, როგორც შესაბამისი ბაზრის საზღვრები (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონე), აგრეთვე მისი სუბიექტი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები. თითოეული მოპასუხის საბაზრო წილი ჩამოუვარდება კანონით დადგენილ 40%-იან ზღვარს. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ,,სხვა მტკიცებულებების" გამოკვლევის ნაწილში, მოკვლევის ჯგუფი ადასტურებს, რომ 2023 წლის 18 სექტემბერის მდგომარეობით, ასეთი სახის მტკიცებულებები არ არსებობს.

ჯგუფური დომინანტობის მიმართულებით - ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა" და შპს ,,ელიზი ჯგუფის" საბაზრო წილები (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების საბითუმო დონეზე) 2022 წლის მდგომარეობით, კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობებს აკმაყოფილებენ, თუმცა

ეკონომიკური აგენტების ჯგუფური დომინანტობა შესაფასებელია ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა კრიტერიუმების მიხედვით. ,,სხვა კრიტერიუმების“ გამოკვლევის ნაწილში, მოკვლევის ჯგუფი ადასტურებს, რომ 2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, ასეთი სახის კრიტერიუმების არსებობა არ დასტურდება.

- **,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით**

პირდაპირი მტკიცებულების მიმართულებით - 2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, მოკვლევის ჯგუფი ადასტურებს, რომ რაიმე სახის პირდაპირი მტკიცებულების საფუძველზე მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა არ დგინდება, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური მიმართულებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასევე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მოკვლევის ჯგუფის მიერ დეტალურად დამუშავდა 2022 წლის განმავლობაში შპს ,,ფილიპ მორის საქართველოსა“ და შპს ,,ჯიდიაის“ შორის არსებული ელექტრონული მიმოწერა, თუმცა დამუშავებული მიმოწერის ფარგლებში არ დადგინდა რაიმე ისეთი სახის შინაარსის შემცველი ინფორმაციის არსებობა, რომელიც აღნიშნულ მხარეთა შორის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაზე მიუთითებდა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ მოკვლევის ჯგუფმა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისგან გამოითხოვა 2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე მოქმედი საბითუმო ნასყიდობის ხელშეკრულება/ები, ყველა დანართთან ერთად. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულ იქნა კომპანიების მიერ და დამუშავდა მოკვლევის ჯგუფის წევრების მხრიდან (იხ., მოხსენებითი ბარათი N 03-352; თარიღი: 23.05.2023). თუმცა დამუშავებული ხელშეკრულებების ანალიზიდან ასევე არ დადგინდა რაიმე ისეთი სახის გარემოების არსებობა, რომელიც შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო უშუალოდ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის ჰორიზონტალური კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის მტკიცებულებად (გარდა ამისა, უშუალოდ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის ნასყიდობის საბითუმო ურთიერთობების არსებობა არ დგინდება) ან შესაბამისი ბაზრის ზედა და ქვედა დონეებზე მოქმედ სუბიექტებს შორის ვერტიკალური კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სულ მცირე მიმანიშნებელ გარემოებად.

არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობის მიმართულებით - 2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, მოკვლევის ჯგუფი ადასტურებს, რომ არ დგინდება არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დადგენა.

2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით არ დგინდება ისეთი დასაბუთებული მტკიცებულების არსებობა, რომლითაც კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

მოკვლევის ჯგუფის პოზიციით, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 01 მარტის N04/92 ბრძანების საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევა შეწყვეტას ექვემდებარებოდა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N 288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე (N 04/639) საქმის მოკვლევა შეწყდა.